CMYK - 1

www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ორშაბათი 13 აპრილი, 2009 წელი. №81 (2119) | ფასი 50 თეთრი

"24 საათის" ფიფქიანი ნომერი
*2424

პრესომბუდსმენი
A3



ტაილანდის
პრემიერი ძალის
გამოყენებით
იმუქრება
A7

ახალგაზრდა
დიქტატორის არქივი
A11

24 საათი
"24 საათის"
ელექტრონული ვერსია
იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი
TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
GRDC group
ჯი პი აი
ჩვენის საადაზღვეო ჯგუფი

9 აპრილის შემდეგ:

ქუჩის პოლიტიკის სიკვდილი?

დავით აფრასიძე

2009 წლის 9 აპრილი უკვე ისტორიის კუთვნილებაა, მაგრამ სათუოა მას ოდესმე ისტორიული მნიშვნელობა მიენიჭოს. მართალია, საპროტესტო აქციები ისევ გრძელდება და მისი პოლიტიკური შედეგი ჯერ არ დამდგარა, მაგრამ უკვე შეიძლება ითქვას, რომ 9 აპრილის მოლოდინი არ გამართლდა. გადამატებული აღმოჩნდა შიში, რომ 9 აპრილს ქვეყანა სამოქალაქო ქაოსში ჩაეფლობოდა, ასევე გადამეტებული აღმოჩნდა მოლოდინი, რომ 10 აპრილს საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ეყოლებოდა. მიუხედავად ამისა, 9 აპრილის შემდეგ არსებობს პოლიტიკური თამაშის ახალი წესების დამკვიდრების შანსი. ახლა უკვე პოლიტიკური ელიტის უნარზეა, რამდენად შეძლებს ამ შანსის გამოყენებას.

მთავარი შედეგი, რომელიც მიმდინარე აქციებს შეიძლება მოყვეს, არის მიტინგის, როგორც პოლიტიკის მიზნების მიღწევის მთავარი საშუალების აღსასრული. შეიძლება ბევრი შემეკამათოს, რადგან, ერთი შეხედვით, ქუჩის აქციები ისე შემოვიდა საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, რომ საერთაშორისო საზოგადოებამაც კი აღიარა იგი პოლიტიკური სისტემის ნაწილად - 9 აპრილს დაწყებულ მანიფესტაციებს ევროპელი მონიტორები ისე აკვირდებიან, თითქოს არჩევნებთან ჰქონდეთ საქმე. იგივე მიზნით ქართველ არასამთავრობოთა კოალიციებიც შეიქმნა. დამკვირვებლები რამდენიმე დღეში საბოლოო დასკვნასაც გამოაქვეყნებენ, სადაც იტყვიან, რამდენად "სამართლიანად" და რამდენი დიდი თუ მცირე "დარღვევით" ჩაიარა აქციებმა.

გაგრძელება A4 გვერდზე

პროვოკაცია პარლამენტის წინ

გიორგი ასანიშვილი

11 აპრილს, 23 საათზე, რამდენიმე ათეულმა სამოქალაქო პირმა პარლამენტის შენობის წინ განთავსებული საპროტესტო აქციის სცენა და პრესსამსახურში დამონტაჟებული აპარატურა დაამტვრია. ამასთან, მათ სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს რამდენიმე ოპოზიციონერ აქტივისტს. თვითმხილველთა თქმით, თავდამსხმელებმა რამდენიმე პორტატული კომპიუტერი და ტელევიზორი დაამტვრიეს, რამდენიმე კი თან წაიღეს. ასევე, ინციდენტის შემდეგ, თვითმხილველთა თქმით, რუსთაველის გამზირზე მოძრაობდნენ დაუდგენელი ავტომანქანები, საიდანაც აქციის მონაწილეებს სიტყვიერ შეუურაცხყოფას აყენებდნენ. მომხდარიდან ცოტა ხნის შემდეგ, შემთხვევის ადგილზე ოპოზიციის ლიდერები და უცხოელი დიპლომატები მივიდნენ. ინციდენტის შესახებ ხელისუფლება და ოპოზიცია განსხვავებულ ინფორმაციას ავრცელებს.

გაგრძელება A2 გვერდზე

ბესო გელაშვილის ფოტო

რუსული პოზიცია

ანდრეი ილარიონოვი

პრეზიდენტ პუტინის ყოფილმა მრჩეველმა, აშშ-ში მოქმედი კატონის ინსტიტუტის ექსპერტმა ანდრეი ილარიონოვმა, რომელმაც აგვისტოს ომის ანალიზს არაერთი პუბლიკაცია და საჯარო გამოსვლა მიუძღვნა, თავად ომისა და რუსეთის პოლიტიკის შესახებ საკუთარი დასკვნები და შეფასებები გამოაქვეყნა. 24 საათი ილარიონოვის მიერ გამოქვეყნებულ მოსაზრებებს გთავაზობთ.

8 აგვისტოს ღამით, როდესაც პირველად გავიგე იმის შესახებ, რომ ქართულმა ჯარმა ცხინვალის შტურმი დაიწყო, ვიფიქრე, რომ სააკაშვილის მთავრობამ უდიდესი შეცდომა დაუშვა (მახსოვს, საკუთარ თავს ვუთხარი კიდეც: ისინი გაგიჟდნენ).

მაშინ ჩემთვის სრულიად გაუგებარი იყო, რატომ გააკეთეს მათ [საქართველოს მთავრობამ] ეს. ჩემი აზრით, ასეთი მოქმედებებისთვის არავითარი წინაპირობა არ არსებობდა. მეტიც, მათ ბევრი რამ მშვიდობიანი გზით გამოსდიოდათ, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ავტონომიებთან მიმართებაში და ეს კარგად იცოდნენ. ომმა დიდწილად, თუ მთლიანად არა, ხაზი გადაუსვა ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მათ წარმოუდგენელ და უნიკალურ მიღწევებს.

თუმცა, ფაქტების უფრო ახლოს გაცნობამ თავდაპირველი აზრი შემაცვლევინა. რაც უფრო მეტი ახალი ფაქტის შესახებ ვგებულობ, მით უფრო ცხადი ხდება რუსეთის ხელისუფლების მასშტაბური, დეტალური, ზედმიწევნით გააზრებული და ხანგრძლივი მზადება საქართველოსთან ომისთვის.

მაგრამ, ასეთი მზადების მიუხედავად, დიდი ხნის განმავლობაში მეჩვენებოდა, რომ **საშინელ პროვოკაციებს სწორედ ქართველები წამოეგნენ და 7 აგვისტოს პირველი გასროლა სწორედ მათი მხრიდან მოხდა.** ეს აზრი კვლავაც საკმაოდ გავრცელებულია მრავალ არაანგაჟირებულ დამკვირვებელს შორის.

ამ აზრს რაღაც დროის განმავლობაში მეც ვიზიარებდი. დღეს კი ვიცი, რომ ეს აზრიც მცდარია. დღეს ზუსტად ვიცი, რომ ყველა შესაძლო კრიტერიუმისა და პარამეტრის მიხედვით, ომი რუსეთის ხელისუფლებამ დაიწყო.

გაგრძელება A4 გვერდზე

CMYK - 1

პატრიარქმა ქართველ ხალხს ერთმანეთის მოსმენისკენ მოუწოდა

წმინდა სამების საკათედრო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ მრევლს ქადაგებით მიმართა.

მან მოუწოდა ქართველ ხალხს, ერთმანეთს მოუსმინონ. "უნდა გვესმოდეს ერთმანეთის, რათა მწუხარება სიხარულმა შეცვალოს. უნდა გვესმოდეს ყველას, რომ სამშობლო ყველას გვიყვარს. სამშობლო გვიყვარს ყველას და ეს სიყვარული გვაცხოვნებს ჩვენ, მაგრამ მთავარია, ადამიანი არ შეიპყროს ამპარტავნებამ, ეს ერთ-ერთი უმძიმესი ცოდვაა," - ბრძანა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა. ილია მეორემ მთელი საქართველო დალოცა. ქადაგების შემდეგ ბზის კურთხევა და ზიარება ჩატარდა. ქადაგებას დაესწრნენ პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და მისი ოჯახის წევრები - სანდრა რულოვსი და ედუარდ და ნიკოლოზ სააკაშვილები, ასევე თბილისის მერი გიგი უგულავა, რუსუდან კერვალიშვილი და კობა სუბელიანი. ოპოზიციის მხრიდან კი წირვას ჯონდი ბაღათურია დაესწრო. ტაძარში ათასობით ადამიანი შეიკრიბა.

ინტერპრესნიუსი

მიხეილ სააკაშვილი: დროის შემობრუნება რომ შემეძლოს, რუსეთთან პოლიტიკას არ შევცვლიდი

მე არ ველოდი, რომ დასავლეთი ჩვენთან ურთიერთობას ამ რევოლუციის მოლოდინში შეაჩერებდა, - აცხადებს საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი "ნიუსუიკისთვის" მიცემულ ინტერვიუში და განაგრძობს: საფრანგეთის დელეგაციამ გადადო თბილისში ვიზიტი. თურქულმა კომპანიებმა დაგეგმილ კონტრაქტზე ხელმოწერა 9 აპრილამდე გადადეს, ხოლო არაბულმა კომპანიამ - 12 აპრილამდე. რა მოუვიდა ამ ხალხს?

"განა, ჩვენ პარიზსა და სტრასბურგში აღარ ჩავდივართ, როდესაც იქ ქუჩის საპროტესტო აქციები მიმდინარეობს?" - კითხულობს მიხეილ სააკაშვილი. მისივე თქმით, ხელისუფლების შეცვლის მომენტში ამერიკაში ვაკუუმის მსგავსი რამ შეიქმნა. "არავინ იცის, რა მოიმოქმედოს ჩვენთან დაკავშირებით. ყველა, მათ შორის საფრანგეთიც, საქართველოსთან მიმართებაში ამერიკის მითითებებს ელოდება. მე აღფრთოვანებული ვარ ამერიკული იდეებით. მე ამერიკას ბუშის მმართველობის დროს ვაიდეალიზებდი, მაშინ იდეალები პრაგმატულ პოლიტიკაზე მაღლა იდგა. ახლა სხვა დრო მოვიდა, როდესაც პრაგმატიზმმა პოლიტიკაში იდეები შეცვალა. ეს ამერიკას ზიანს მიაყენებს, მე ეს ვიცი," - აცხადებს მიხეილ სააკაშვილი და აღნიშნავს, რომ მას საკმაოდ კარგი კონტაქტები აქვს აშშ-ში. "ჩემი საუკეთესო მეგობარი ყოველთვის იყო სენატორი მაკკეინი. თქვენ მეტყვით, რომ ის უკვე ქართველია. ჩვენ ველით, რომ მაკკეინი, დაახლოებით, ერთ კვირაში ვიზიტით ჩამოვა. მე კარგი ურთიერთობა მაქვს ჰილარი კლინტონთან, ჯოზეფ ბაიდენთან და განსაკუთრებით რიჩარდ ჰოლბრუკთან. ის ჩემი მასწავლებლია. მე მისგან ბევრი დიდებული რამ ვისწავლე," - აღნიშნავს სააკაშვილი. მიხეილ სააკაშვილი "ნიუსუიკისთვის" მიცემულ ინტერვიუში ქართული ოპოზიციის დაფინანსებაზეც საუბრობს და აცხადებს, რომ მას აქვს დოკუმენტური მტკიცებულება, რომ ფული რუსმა ოლიგარქებმა გადაუხადეს.

"მე ამისი დოკუმენტური მტკიცებულება მაქვს, რასაც ჯერჯერობით საჯაროდ არ ვახმაურებ. არ ვიცი, რამდენად აკონტროლებს ამ ფულს რუსული ხელისუფლება," - აღნიშნავს სააკაშვილი. საქართველოს პრეზიდენტი ასევე აცხადებს, რომ მისი გადადგომა, ძირითადად, უმუშევარ ადამიანებს სურთ. "ჩვენ რეფორმების შედეგად, დაახლოებით, 250 ათასი ადამიანი დავითხოვეთ სამსახურებიდან. ამ ადამიანთა დიდმა პროცენტმა ახალ ეკონომიკურ სიტუაციაში საკუთარი ადგილი ვერ იპოვა," - აღნიშნავს სააკაშვილი. "ახლოლოდ თბილისში 8 000 ადამიანს მივუსაჯეთ პატიმრობა. ყველა მათი ნათესავი ახლა ქუჩაშია და ჩემს გადადგომას ითხოვს," - დასძენს საქართველოს პრეზიდენტი. როგორც სააკაშვილი აცხადებს, დროის შემობრუნება რომ შეეძლოს, რუსეთთან პოლიტიკას მაინც არ შეცვლიდა.

"მე გამიჭირდებოდა სხვანაირად მოქცევა. ღირებულებები, რომლებსაც ჩვენ ვაღიარებთ, რუსეთში მიუღებელია. განა, კომპრომისებზე უნდა წავსულიყავი? თუ წავიდოდი, მაშინ ყირგიზეთად ვიქცეოდით, ახლა უკვე დაკარგული გვექნებოდა ჩვენი ღირებულებები ან სომხებივით გავღარიბდებოდით, რომლის ეკონომიკაც მთლიანად არის დამოკიდებული რუსეთზე," - დასძენს მიხეილ სააკაშვილი. საქართველოს პრეზიდენტის განცხადებით, ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე და აფხაზეთში 5000-5000 რუსი სამხედროა დისლოცირებული. რუსეთის ხელისუფლება ძალიან ბედნიერი იქნებოდა, მე რომ თანამდებობა დამეტოვებინა. ვვარაუდობ, რუსეთის შეიარაღებული ძალების ზოგიერთი ხელმძღვანელი საქართველოზე ახალი თავდასხმის შესაძლებლობას განიხილავს, რათა მერე ყველაფერი მე გადმომაბრალოს და განაცხადოს, რომ მე შევიჭერი რუსეთში, რათა ჩემი ოპოზიციიდან ყურადღება გადამეტანა. ერთი კვირის წინ რუსული ტანკები შევიდნენ სამხრეთ ოსეთში, - განაცხადა სააკაშვილმა. შეკითხვაზე, უჭერს თუ არა მხარს მედვედევი საქართველოსთან ახალი ომის იდეას , მიხეილ სააკაშვილი პასუხობს, რომ მისი აზრით, მედვედევს ასეთი იდეა არ უნდა მოსწონდეს, რადგან ნახა, რა ბედნიერი იყო, როდესაც პრეზიდენტმა ობამამ ოდნავ გაუღიმა. რუსეთმა მოისმინა, თუ როგორ დაახასიათა ობამამ აგვისტოს ომი. მან ამ ომს "შეჭრა" უწოდა და ამ ერთი სიტყვით ობამამ საქართველოსა და რუსეთს შორის ზღვარი გაავლო. დღეს ხელახლა ამ ზღვრის გადალახვა არც პუტინისა და არც მედვედევის ინტერესში არ შედის, - აცხადებს მიხეილ სააკაშვილი.

ჯი-ეიჩ-ენი

პროვოკაცია პარლამენტის წინ

პირველი გვერდიდან

ოპოზიციის შეფასებები

რესპუბლიკური პარტიის წევრი ირაკლი ბათიაშვილი, რომელიც ინციდენტის დროს პარლამენტის შენობასთან იმყოფებოდა, აცხადებს, რომ თავდამსხმელებს სამოქალაქო ტანსაცმელი ეცვათ და რეზინის ხელკეტები ეჭირათ. მისივე განმარტებით, ისინი რუსთაველის გამზირზე დასუფთავების სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად მივიდნენ და პრესცენტრის ტექნიკური აღჭურვილობის მტვრევა დაიწყეს.

ირაკლი ბათიაშვილი ხელისუფლების ბარბაროსულ ქმედებაზე საუბრობს.

"დარბევაზე უფრო დიდი საშინელებაა ის ცინიკური ტყუილი, რასაც შსს-სგან ვისმენთ. ამას ვისმენდი 2007 წლის ნოემბერშიც, როდესაც პატიმარი ვიყავი და მოვლენებს ზონიდან ვადევნებდი თვალს. ხელისუფლება მაშინაც ამტკიცებდა, რომ პარლამენტთან დასუფთავების სამსახურის თანამშრომლები მივიდნენ. ანალოგიურის გათამაშება უნდოდათ ახლაც. მოვარდნენ ხელკეტებით, ზონდერბრიგადებით, მაგრამ, როგორც შემოვიდნენ, ისე გაბუნძულდნენ და ასევე გაბუნძულდებიან საერთოდ საქართველოდანაც," - აცხადებს რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენელი, რომელიც სააკაშვილს კიდევ ერთხელ მოუწოდებს "გონზე მოსვლისკენ".

"დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს" ლიდერ ნინო ბურჯანაძის განცხადებით, იგი მაშინვე დაუკავშირდა საპატრულო პოლიციას, თუმცა განუცხადეს, რომ პატრული დაკავებულია და შემთხვევის ადგილზე ვერ მივიდა.

"კონსერვატიული პარტიის" ლიდერი ზვიად ძიძიგური კი

კატეგორიულად უარყოფს გავრცელებულ ხმებს იმის შესახებ, თითქოს ინციდენტი ოპოზიციის მხრიდან დაგეგმილი პროვოკაცია იყო.

"რას ნიშნავს, ოპოზიციამ დაგეგმა დარბევის სცენა? ჩვენ დავიქირავეთ ადამიანები, რომ დაელეწათ აპარატურა და აქციები ვეღარ გაგვემართა? მოწყობილი სცენა დაგვენგრია და მიწასთან გაგვესწორებინა? ეს ხელისუფლების მხრიდან კიდევ ერთი ტყუილი და უსინდისობაა," - აღშფოთებით საუბრობს ოპოზიციონერი პოლიტიკოსი.

ზვიად ძიძიგურის თანაპარტიელ ბიძინა გუჯაბიძის მტკიცებით, პარლამენტთან დამონტაჟებულმა კამერებმა გარკვევით დააფიქსირეს ქალაქის დასუფთავების სამსახურის უფროსი ხიზანეიშვილი, მისი მოადგილეები, რომლებიც აქციის მონაწილეთა დაშინებას ცდილობდნენ.

პარლამენტის წინ მომხდარ ინციდენტს "ქართული აკადემია" ვანდალურ აქტს უწოდებს და აღნიშნული ფაქტის შესახებ საგანგებო განცხადებას ავრცელებს.

ქართული აკადემია ამ ფაქტს მიიჩნევს კიდევ ერთ მკაფიო დადასტურებად იმისა, რომ სააკაშვილი და მისი ხელისუფლება ანტისახელმწიფოებრივი მოვლენაა, რომელსაც ორგანული სიძულვილი აქვს ზოგადსაკაცობრიო და ქრისტიანული ღირებულებების მიმართ. ამასთანავე, ეს არის შეშინებული სააკაშვილის პასუხი ოპოზიციის მიერ ღია და გამჭვირვალე დიალოგის გამართვის მზადყოფნაზე, - ნათქვამია განცხადებაში.

ინციდენტის შესახებ საკუთარი ვერსია აქვს საპარლამენტო უმცირესობას.

ქრისტიან-დემოკრატი" ლევან ვეფხვაძე პარლამენტის წინ მომხდარ ინციდენტს ხელისუფლებისა და ოპოზიციის დიალოგის ჩაშლის მცდელობად აფასებს. მისი ვარაუდით, ვიღაც ცდილობს, ხელოვნურად დაძაბოს ის სიმშვიდე, რომელიც სამი დღის განმავლობაში საპროტესტო აქციების მიმდინარეობისას იყო შენარჩუნებული.

პარლამენტის ოპოზიციონერი ვიცე-სპიკერის თქმით, თუ ვინმე მსგავს ინციდენტებს ხელისუფლებაში გეგმავს, ის არა მარტო ხელისუფლების, არამედ მთელი ქვეყნის მტერიცაა.

ხელისუფლების ვერსია

შინაგან საქმეთა სამინისტრომ რუსთაველის გამზირზე მომხდარის შესახებ გაავრცელა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ ინციდენტი მომიტინგეებსა და თბილისის დასუფთავების სამსახურის თანამშრომლებს შორის მოხდა.

"11 აპრილს, დაახლოებით, 23:00-ზე, თბილისის მერიის დასუფთავების სამსახურის თანამშრომლები პარლამენტის წინ დემონსტრაციის ადგილის დასასუფთავებლად მივიდნენ. დემონსტრაციის ორგანიზატორებმა თავად მოითხოვეს დამლაგებელთა ჯგუფის გაგზავნა და საკითხი ქალაქის მუნიციპალიტეტს შეუთანხმეს," - აღნიშნულია შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

"როდესაც დამლაგებელთა ჯგუფი ადგილზე მივიდა, მათ მოქალაქეებმა, რომლებიც დემონსტრაციაში მონაწილეობდნენ, სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. დაზიანებულ იქნა კომპიუტერები და ხმის აპარატურა. სერიოზული დაზიანება არავის მიუღია. აღნიშნულ ინციდენტში არ მონაწილეობდნენ არც პოლიციის, არც თბილისის მერიის და არც რომელიმე სხვა სახელმწიფო უწყების თანამშრომლები. ხელისუფლება ხელს არ შეუშლის დემონსტრაციის გაგრძელებას და დაიცავს პროტესტში მონაწილე ადამიანების უფლებებს, მათ შორის მათ მიერ აზრის გამოხატვის თავისუფლებას. შინაგან საქმეთა სამინისტრო ისევე თავშეკავებული იქნება თავის მოქმედებებში, როგორც მშვიდობიანი დემოსტრაციების პირველი სამი დღის მანძილზე," - აცხადებს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

11 აპრილს რუსთაველის გამზირზე მომხდარ ინციდენტს თბილისის მერიც გამოეხმაურა. გიგი უგულავა აქციის ორგანიზატორებს რუსთაველის გამზირის დასუფთავების გამო წინადადებით მიმართავს. იგი მომიტინგეებს სთავაზობს, შესაბამისი საშუალებებით მომარაგებას, რათა მათ თავად დაალაგონ გამზირი, ნაგავი გარკვეულ პერიმეტრამდე გაიტანონ და შემდგომ გადაყრას დასუფთავების სამსახური უზრუნველყოფს.

დედაქალაქის მერი პარლამენტის შენობის წინ მომხდარ ფაქტს "სამწუხაროს" უწოდებს, თუმცა იქვე აცხადებს, რომ დასუფთავების სამსახურის წარმომადგენლებს ვერავინ დაავალდებულებს, **მოითმინონ, როცა მათ დედას შეაგინებენ.**

პროტესტის გამკაცრების მოლოდინში

დათო გამისონია

ხატია ჩიტაიშვილის ფოტო

მიუხედავად იმისა, რომ 12 აპრილს პოლიტიკურ ოპოზიციას შეკრება წინასწარ არ ჰქონდა გამოცხადებული, გუშინ რუსთაველის გამზირზე დემონსტრანტები მაინც შეიკრიბნენ. ხალხში გამოჩნდა დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოსთვის ლიდერი ნინო ბურჯანაძე. ის თავდაპირველად ხალხში გავიდა და შეკრებილებს გუშინწინდელი ინციდენტის დეტალები ტრიბუნისა და მიკროფონის გარეშე გააცნო. პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარის თქმით, როცა პარლამენტის შენობის წინ დასუფთავების სამსახურის წარმომადგენლები გამოჩნდნენ, იგი, სალომე ზურაბიშვილი და ნათელა მაჭავარიანი თბილისი მარიოტიდან პარლამენტის შენობის კიბესთან დამონტაჟებული სცენისკენ მიდიოდნენ. ბურჯანაძისვე თქმით, ინციდენტის შესახებ ინფორმაცია მან პარლამენტთან მისულ ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენელს სამხრეთ კავკასიაში პიტერ სემნების გააცნო. **მე უცხოელებს ვუთხარი, რომ თქვენ, დემოკრატიული ქვეყნების წარმომადგენლები, ჩვენ გველაპარაკებით დიალოგზე, დიახ, ცივილიზებულ ქვეყანაში ეს ერთადერთი სწორი ფორმაა, მაგრამ, სამწუხაროდ, საქართველოში ხელისუფლება ვერ გახდა ცივილიზებული და არაცივილიზებულ ხელისუფლებასთან დიალოგი არ შეიძლება,** - განმარტა ბურჯანაძემ. მან დასძინა, რომ არანაირი დიალოგი არ იქნება და პრეზიდენტი რაც შეიძლება მალე უნდა წავიდეს.

დასუფთავების სამსახურთან ერთად შემოვიდა რამდენიმე შავი ჯიპი , რომელშიც ისხდნენ კუნთმაგარი, ე.წ. საიდუმლო პოლიციის თანამშრომლები. ჩემთვის რამდენიმე მათგანის გვარი ცნობილია, თუმცა დამატებითი დაზუსტების გარეშე მათი დასახელება არ შემიძლია. ამავდროულად, შემოუშვეს ზონდერბრიგადები - ნაციონალური მოძრაობის აქტივისტებით დაკომპლექტებული სპეციალური ჯგუფი, - განაცხადა ბურჯანაძემ სიტყვით გამოსვლისას. გუშინდელი მიტინგი დიდ ხანს არ გაგრძელებულა. ოპოზიციის ლიდერებმა საზოგადოებას მომავალი მოქმედების გეგმა გააცნეს. ოპოზიცია ხვალ 15:00 საათიდან პარლამენტის შენობის წინ გეგმავს საპროტესტო მიტინგის გამართვას. მათი თქმით, საპროტესტო ტალღა კიდევ უფრო გაიზრდება და შემდგომში მთელ თბილისს მოიცავს.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები: მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). **რედაქტორები:** მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. **კომპიუტერული ცენტრი:** თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი, ირმა ჯიშკარიანი
რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

ნოდარ ლადარია

ძნელია წერა მაშინ, როცა ისტორია თავქუდმოგლეჯილი მიექანება წინ. მაშინ ძალიან მალე ძველდება ამბებიც და აზრებიც. ერთი კვირის წინანდელის გახსენება და განხილვა უკვე დაგვიანებულია. რამდენიმე დღის წინათ მეგონა, რომ ახლაც ასე იქნებოდა, მაგრამ არა — ისტორიას ნაბიჯი არ აუჩქარებია. ამიტომ შეიძლება არათუ ერთი, მთელი ორი კვირის წინ დაწერილიც კი გაიხსენო და უკვე ახალი ვითარების პირობებში გაიაზრო.

იმას ვამბობ, რომ კვლავ უნდა მივუბრუნდე გია ნოდიას სტატიას, რომელიც "24 საათმა" 2 აპრილს გამოაქვეყნა. უფრო ზუსტად კი სტატიის იმ ადგილს, სადაც ნათქვამია, რომ 1989 წლის 9 აპრილი ქართული პოლიტიკური რადიკალიზმის დაბადების დღეა. არა, ზუსტად ასე არ აქვს ნათქვამი, მაგრამ აზრი ასეთია. ამჯერად 20 წლის წინანდელ წარსულში არ ვიხედები, ყურადღებას ვამახვილებ სიტყვაზე "რადიკალიზმი". ამ მოვლენის უფრო ადეკვატური და, ასე ვთქვათ, ლაბორატორიულად სუფთა ნიმუში ცოტა ხნის წინ მივიღეთ მშვენიერ ქალაქ ლონდონში, სადაც ინგლისის პოლიციას საკმაოდ დიდი შრომა დაადგა ანტიგლობალისტთა და ანარქისტთა მრავალათასიანი მანიფესტაციის კალაპოტში ჩასაყენებლად.

რითი განსხვავდება ამისაგან ქართული პოლიტიკური რადიკალიზმი?

ერთი წუთით დავიხიოთ უკან და გავიხსენოთ ერთი სატელეფონო ჩართვა ტელეკომპანია "კავკასიის" ეთერში. მსახიობი ნინელი ჭანკვეტაძე ჩიოდა, რომ 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, როცა თბილისში ოპოზიციის სპორადული მიტინგები ტარდებოდა, პოლიტიკური ლიდერები არასაკმარის შემართებას იჩენდნენ. თურმე საპროტესტო მუხტით აღსავსე ადამიანები მოდიოდნენ და აცხადებდნენ, რომ მზად არიან სახელისუფლება შენობებში შევარდნისათვის, მაგრამ პირში ჩალაგამოვლებულები ბრუნდებოდნენ უკან, რადგან ლიდერებისგან მხოლოდ შემრიგებლური ხასიათის ფრაზები ესმოდათ.

ახლა ჰიპოთეზურად გავაჩეროთ ქუჩაში რომელიმე ანტიგლობალისტი და ვკითხოთ, გამოხატავს თუ არა ის თავის განწყობას იმ მიზნით, რომ ვინმე დაამხოს? არ ვარ დარწმუნებული, რომ დალაგებულ პასუხს მივიღებთ, მაგრამ ოდნავი დაფიქრების შედეგად ცხადი გახდება, რომ რადიკალიზმი, რომელსაც იგი წარმოადგენს, ძირითად მიზნად ყურადღების მიქცევას ისახავს. დიახ, ამისათვის ილეწება ვიტრინები, ითელება გაზონები, იწვის მანქანები და იკეტება მოძრაობა. ამ რადიკალური სულისკვეთებით გამსჭვალული მანიფესტაციის უწყება შემდეგია: ჩვენ ვარსებობთ და ჩვენ არ მოგვწონს, რას აკეთებთ — გაითვალისწინეთ ჩვენი არსებობა და ჩვენი მოთხოვნები.

ამისგან განსხვავებით, რას წარმოადგენს ქართული მიტინგი? — ახალს არაფერს ვიტყვი, გავიმეორებ სიტყვებს ლაშა ბუღაძის ერთი სვეტიდან: "ქართველი მიტინგზე ვიტრინების ჩასალეწად არ მიდის". მაშ, რისთვის? — იმისთვის, რომ გადააყენოს პრეზიდენტი. არა, ბატონებო, 2003 წელთან პარალელი არ გამოდგება, რადგან ამჯერად არ არსებობს საკმარისი სამართლებრივი საფუძვლები და ამ საფუძვლის არსებობის დასაბუთებას არც არავინ ცდილობს.



არც ჩვენ დაგვიწყია ეს ლაპარაკი იმისათვის, რომ ვითარების სამართლებრივი ასპექტები ვარჩიოთ, ამიტომ განვაგრძოთ უკვე დაწყებული შედარება.

მაშ ასე, დასავლური რადიკალიზმი ცივილიზაციის ნაწილია. არცთუ მთლად სასიამოვნო, მაგრამ გარკვეული აზრით საჭირო. რისთვის? — თუნდაც ორთქლის გამოსაშვებად. ქართული რადიკალიზმი კი თავისი არსით სწორედ ცივილიზაციასთან დაპირისპირებაა. არა, აქ ქუჩის გადაკეტვასა და რუსთაველის პროსპექტის შარდის სუნით აყროლებაზე არ მოგახსენებთ. მე კვლავ "კავკასიის" სტუდიაში განხორციელებულ სატელეფონო ჩართვას ვუბრუნდები.

ჩალეწილ ვიტრინაზე ბევრად უფრო დიდი უბედურებაა, რომ საქართველოში ხმამაღლა წარმოითქმის ის, რასაც თავისი უპირველესი საფუძვლების უსაფრთხოებაზე დაფიქრებული საზოგადოება თავს უნდა არიდებდეს. ეს რადიკალიზმი არ არის, ეს ველურობაა — ველურობა არა სისასტიკის, არამედ უვიცობის აზრით.

მოვიყვან ერთ შედარებას: მუსიკის ისტორია, შეიძლება ითქვას, დისონანსის გათავისუფლებისა და დამკვიდრების ისტორიაა. რაც უფრო წინ ვართ წასული ისტორიულ გზაზე, მით უფრო დამოუკიდებელია მუსიკაში დისონანსი. მაგრამ როგორი დისონანსურიც არ უნდა იყოს თხზულება, ის აუცილებლად აწყობილ ინსტრუმენტზე უნდა შესრულდეს.

ჰოდა, დასავლური რადიკალიზმი ინსტრუმენტს აწყობს, რომ მასზე დისონანსური აკორდი აიღოს, ქართული რადიკალიზმი კი საკრავს აშლის და უკვირს, რომ მასზე აჟღერებულ "შალახოს" არავითარი შედეგი არ მოჰყვება.

გასაგებია და ცხადი, ფუნქციურად რას გამოხატავს ნახევრად ან სრულიად შიშველი და ტანმოხატული ევროპელი რადიკალი — ეს დაძაბულობის კონცენტრაციისა და მისი შემდგომი განმუხტვის საშუალებაა. მაგრამ რას განასახიერებს ოქრუაშვილის პარტიის წევრი, ხელში ოქრუაშვილისავე მინისტრობის დროს მოკლული რობაქიძის სურათით? — მხოლოდ იმ საერთო უგანაჩენობასა და უპასუხისმგებლობას, რომლის შედეგად "ცნობადი სახე" რეკავს ტელევიზიაში და წუწუნებს, რომ სახელმწიფოს ძალადობრივი დამხობისთვის ხალხის მზადყოფნა სათანადოდ არ იქნა გათვალისწინებული პოლიტიკური ლიდერების მიერ.

საზოგადოდ, დეტალებისადმი ყურადღება არ არის ჩვენი ძლიერი მხარე: სანამ გია მაისაშვილმა შუა რუსთაველზე გინება არ დაიწყო, ყურადღება არავის მიუქცევია მისთვის. არადა, კაცს "კავკასიის" იმავე სტუდიაში წამოსცდა ერთი მეტად ნიშანდობლივი ფრაზა: "ეს ფერადი რევოლუციების წყევლაა". Sapienti sat — გონიერისთვის საკმარისია.

ასე რომ, კარგი იქნება ზოგი დეტალი გავიხსენოთ...

9 აპრილის თარიღი ძალიან ადრე გაისმა: ჯერ კიდევ 2008 წლის შემოდგომაზე დაგვპირდნენ. ნუმეროლოგიის სპეციალისტებთან კონსულტაცია არ გამივლია: ერთი მათგანი ციხეშია, მეორე კი გენერლობის თვალუწვდენელ სიმაღლეზე. თუმცა, არც ისე ძნელი მისახვედრია გულუბრყვილო სიმბოლური კონსტრუქცია: გაერთიანებული ოპოზიცია უნდა გამხდარიყო ეროვნული მოძრაობის, პრეზიდენტი სააკაშვილი კი ავადსახსენებელი როდიონოვის ეკვივალენტი. ეს, რა თქმა უნდა, ინტერპრეტაციაა, შესაძლოა მართალი, შესაძლოა მცდარი, ალბათ ნაწილობრივ ერთიცაა და მეორეც, მაგრამ ამას არ აქვს მნიშვნელობა.

მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ რაღაც იდუმალი მიზეზების გამო ამ შორეული თარიღისათვის არავითარი მომზადება არ ყოფილა. რა იყო ამის მიზეზი? — ვარაუდებში შეიძლება დავიკარგოთ: ან უბრალო ქართული დაუდევრობა, ან გულუბრყვილო რწმენა იმისა, რომ ხელისუფლების საქმე ისედაც წასულია, ან სახელმწიფოს მდგომარეობასა და საკუთარ შესაძლებლობებზე არაადეკვატური წარმოდგენა, ან ის, რომ ოპოზიციურად განწყობილ პოლიტიკურ ძალთაგან რეალურად არც ერთი არ ამართლებს პარტიის ან მოძრაობის სახელს... როგორც ეტყობა, ყველაფერი ერთად.

ამ შემთხვევაში შეიძლება გავიხსენოთ ცხონებული "რადიო 105"-ის ერთი ძველი ხუმრობა: "შვილი მყავს მოსაწყობი უმაღლესში, მარა დებილია!". ჰოდა, 9 აპრილის აქციასაც ასე აწყობდნენ, როგორც დებილ შვილს — უმაღლესში. სხვა სიტყვებით, არ ყოფილა რეალური მუშაობა აქციის უშუალო დასაყრდენთან, ანუ ქართველ ხალხთან, რომელშიც, როგორც ამბობდნენ, დიდი "საპროტესტო მუხტი" იყო დაგროვილი. სამაგიეროდ, ტაქტიკა ზუსტად ისეთივე იყო, როგორც რევოლუციამდელ თსუ-ში — დუნე მოლაპარაკება "მიმღებ კომისიასთან": საერთაშორისო ორგანიზაციები, დიპლომატიური კორპუსი...

არ დაგვიჩაგროთ ეს ნანატრი შვილი, არ გაალახინოთ, არ აუცრუოთ გული!.. ჰოდა, დაესივნენ ბავშვს რეპეტიტორები... ბოდიში... მონიტორები, დამკვირვებლები, ზოგი მათგანი სახურავზეც კი აძვრა, სხვებმა ზურგზე დაიწერეს "მშვიდობით".

მაგრამ ყველაზე მეტად ელოლიავებოდნენ და ეფერებოდნენ ამ უდღეურ ბავშვს ხელისუფლების მიერ უწყალოდ კონტროლირებადი და სულაც სამთავრობო ტელეარხები. სწორედ ისინი უქმნიდნენ ბედკრულ საქართველოს საღამოობით ისეთ შეგრძნებას, რომ დილით ქუჩები ლამის გვამებით მოფენილი დახვდებოდათ. არა, ეს არ იყო ძველებური "იმედი", მაგრამ არც ბევრი აკლდა: "ყველა ზომა იქნას მიღებული პოლიტიკური კრიზისის დასაძლევად", "რათა თავიდან ავიცილოთ ხელისუფლების მიერ ძალის გამოყენება" და სხვა მრავალი რამ გაისმოდა ეთერში არა რომელიმე პოლიტიკური სუბიექტის, არამედ მთავრობის მიერ კონტროლირებადი წამყვანის ხმით. მაგრამ თენდებოდა დილა და ახლადგაღვიძებული ბედკრული საქართველო გამოდიოდა შინიდან, გაუბედავად თვალს ავლებდა არემარეს და ამჩნევდა ავტობუსის გაჩერებაზე მდგომ ახალთახალ ფორმებში გამოწყობილ კონტროლიორებს და სისხლში უჟონავდა სახიფათო ეჭვის პირველი წვეთი: "ნეტა ერთი ჟურნალისტი მაინც თუ არის ამ ქვეყანაში, ვინც იცის, რა არის პოლიტიკური კრიზისი?". დღის განმავლობაში ეს ეჭვი კიდევ უფრო უძლიერდებოდა და ბოლოს ნამდვილად სახიფათო ზღვარს აღწევდა; "ნეტა ვინმეს თუ შეუძლია წაიმღეროს გოგი ცაბაძის ვაჟის (ნეტა რა ჰქვია?) შეთხზული მელოდია? ან იქნებ მაყვალა გონაშვილის რომელიმე ლექსი იცის ვინმემ ზეპირად?". აქ, ამ სახიფათო მომენტში ხელის ჩვეული, თითქმის შეუგნებელი მოძრაობით ირთვებოდა ტელევიზორი და იქიდან რომელიმე გრიგოლია ან შუბლაძე მაშინვე იწყებდა მისი სულის ცხონებაზე ზრუნვას: როგორ უნდა დასძლიოს ქვეყანამ შექმნილი პოლიტიკური კრიზისი?

იყო დაბრკოლებებიც და ზოგჯერ აშკარა მტრობაც! მაგალითად, დავით აქუბარდია ლამის გამიზნულად, ყოველ შემთხვევაში, ძალიან მეთოდურად ცდილობდა აქციის დაკომპლექტებას მხოლოდ ერთი ტიპის ადამიანებით.

მეორე მხრივ, უცნობი გაჩეჩილაძე თავისი საკნიდან მარჯვედ ახდენდა "საზოგადოებრივი ნდობით" მოსარგებლეთა დისკრედიტაციას. ჰოი, რას არ ამბობდნენ მასთან პირისპირ შემოსულნი. არ ვიცი, რანაირი პატიმარია ეს ჩვენი უცნობი, მაგრამ "ნასედკად" კი ნამდვილად ივარგა: ისეთი რამეები დააფქვევინა მასთან სტუმრად მისულ "ცნობად სახეებს", მათი სულის ისეთ კუნჭულებში ჩაახედა ქართველი საზოგადოება, რომ საბოლოოდ აგვერია დავთრები. ხან გერმანელი ნაცისტების ქება-დიდება გვესმოდა, ხან ალალად გვარწმუნებდნენ, რომ ბურჯანაძის აგარაკზე ცხოვრებას თავმოყვარე ლტოლვილიც კი იუკადრისებს, ხან ვანესა რედგრეივისა და გიგი უგულავას შედარებით დახასიათებას გვაცნობდნენ.

ერთი სიტყვით, ეს აქუბარდია და უცნობი რომ არა, იქნებ მართლაც მოგროვილიყო მიტინგზე 50 ათასი კაცი...

მაგრამ ქართული რადიკალიზმი დონდლო გამოდგა და პირველივე დღეს გამოუტანა საკუთარ თავს განაჩენი. Amor fati — ბედისწერის სიყვარული — ასე შეიძლება განვსაზღვროთ მიტინგის წინამძღოლთა სამი ნაბიჯი.

პირველი: ოცდაოთხსაათიანი ულტიმატუმი. ყოვლად დაუშვებელია, როცა შენი მოყვანილი ადამიანები მთელი ოცდაოთხი საათი ელოდებიან პასუხს, რომლის შინაარსი წინასწარ იციან.

მეორე: თანხმობა დიალოგზე, ოღონდ პირდაპირ ეთერში. აქ შეწირეს მსუბუქი ფიგურა — ირაკლი ალასანია, რომელმაც განაცხადა ასეთი გადაწყვეტილების შესახებ და პასუხად მომიტინგეთა რისხვა მიიღო, რომელსაც მორცხვი ღიმილით შეხვდა. ამის შემდეგ მისი სამსხვერპლო სისხლი გადაუსხეს უკვე საკმაოდ ანემიურად მოცქერალ ლევან გაჩეჩილაძეს. ამ უკანსაკნელს წუთნახევარს ეყო ენერგია, რომელიც მომიტინგეებთან ისტერიულ ჩხუბს შეალია. მაგრამ ეს ლირიკაა. საქმის არსი კი იმაში მდგომარეობს, რომ კვლავაც ძველი დილემის წინაშე ვდგავართ: ბრიყვი თუ მატყუარა. თუ არ იცი, რომ პირდაპირ ეთერში მოლაპარაკება სრული აბსურდია, ბრიყვი ხარ, თუ იცი — იტყუები.

მესამე: მიტინგის დაშლა ნაწილებად. რა თქმა უნდა, ძალების დაქსაქსვა მძიმე მისაღები გადაწყვეტილებაა და ეს ალბათ ძიძიგურსა და ბესელიასაც კი ესმის, მაგრამ უკვე აშკარად, ძალიან აშკარად გამოჩნდა, რომ მიტინგის წინამძღოლნი ძალიან უხერხულად გრძნობენ თავს ერთმანეთის გვერდი-გვერდ.

ერთი სიტყვით, ვითარება ასეთია: ამჟამად ჩვენი ოპოზიციური სპექტრი ერთი დიდი საფრთხის წინაშე დგას. ეს საფრთხე არ არის სპეცრაზმი და ხელკეტები. ეს საფრთხე თვით მიტინგია, რომელიც თავიდან უნდა მოიშორო და სახეც შეინარჩუნო. ერთი სიტყვით, თუ საბჭოთა "ინნილიგენციისათვის" ცნობილ ენაზე ვიტყვით, ოსტაპ ბენდერის პრობლემაა, წაგებული საჭადრაკო სეანსის შემდეგ...

9 აპრილის შემდეგ: ქუჩის პოლიტიკის სიკვდილი?

პირველი გვერდიდან

ეს ხუმრობით, თორემ ევროპელ დამკვირვებლებს დიდი მადლობა, ჩვენი ნორმალური განვითარება რომ აფიქრებთ. სხვათაშორის, ამ დღეებში თბილისში მყოფი უცხოელი დიპლომატებისა და ჟურნალისტების რიცხვი პირდაპირ მიუთითებს, რომ საფუძველს მოკლებულია "საქართველოს რუსეთისთვის ჩაბარების" მითი, ჩვენივე ზოგიერთი თანამემამულე საგულდაგულოდ რომ ავრცელებს.

9 აპრილის აქციამ საბოლოოდ აჩვენა, რომ საქართველოში პოლიტიკის "ქუჩაში კეთების" ეპოქა უნდა დასრულდეს: 2007 წლის ნოემბერმა - ძალადობით და 2009 წლის აპრილმა (ჯერ-ჯერობით) მშვიდობიანად აჩვენა, რომ პირდაპირი დემოკრატიის მახინჯი ფორმა - მიტინგი - პოლიტიკურად არაეფექტიანია: მიტინგის მონაწილეთა რაოდენობა და ხანგრძლივობა ვერ ცვლის პოლიტიკის წარმოების მთავარ ფორმებს - ღია და დახურულ მოლაპარაკებებს, შეხვედრებს, საუბრებს. შესაბამისად, პოლიტიკურ აზრს მოკლებულია ყველა სახის მსჯელობა დემონსტრანტთა რაოდენობის შესახებ, რადგან არსებითად არაფერი იცვლება დემონსტრაციაზე 25 ათასი ადამიანი იქნება, 60 ათასი თუ 150 ათასი; უკუეფექტის მატარებელია თბილისის ცენტრალური მაგისტრალების გადაკეტვა. სხვათა შორის, ყველა სახის კომუნიკაციის გადაკეტვა ორგანიზატორების საწინააღმდეგოდ მოქმედებს და ამის ისტორიული მეხსიერება საქართველოშიც არსებობს; და ბოლოს, რაც უფრო ხანგრძლივია დემონსტრაცია, მით უფრო იკლებს მისი მუხტი და მით უფრო არასახარბიელო პოზიციაში აყენებს ორგანიზატორს პოლიტიკური დიალოგის ფორმატში გადასასვლელად.

არ შევჩერდები იმ მიზეზებზე, რამაც მიტინგის, როგორც პოლიტიკის კეთების საშუალების დასამარება გამოიწვია. ჩემი აზრით, მხოლოდ მიტინგი არც არასდროს ყოფილა ისე ძლევამოსილი, როგორც ეს საზოგადო წარმოდგენაში დაილექა. ფაქტია, რომ კომუნისტური ხელისუფლების დასრულების, გამსახურდიას ხელისუფლების დამხობის, 2003 წლის ნოემბრის მოვლენების დროს მიტინგი ან ოსტატურად ნიღბავდა შიდაკულუარულ გარიგებებს ან წინ უძღოდა სამოქალაქო ომს. სხვა სიტყვებით, მიტინგს, როგორც ასეთს, არც არასდროს შეუცვლია პოლიტიკური ხელისუფლება საქართველოში. იმედია, ეს კარგად ესმით დღევანდელ პოლიტიკოსებსაც, რომელთა დიდი ნაწილი, 1990-იანი წლებიდან მოყოლებული, ავად თუ კარგად ქმნის ქართულ პოლიტიკას.

აპრილის აქციებით ოპოზიციის ნაწილმა პოლიტიკური მხარდამჭერების მობილიზაციის უნარი აჩვენა. სხვა თემაა, რამდენად სტრატეგიულად გამართლებული იყო საპროტესტო აქციების მიმართვა მხოლოდ ერთ საკითხზე, თანაც ულტიმატუმის ფორმით. დღესაც მგონია, რომ გადამეტებული მოლოდინების გაჩენა საბოლოოდ გადამეტებული იმედგაცრუებით სრულდება და ამის გამოცდილება ხელისუფლებასაც აქვს და ოპოზიციასაც. ახლა, საკითხავია ტაქტიკურად როგორ მოახერხებს ოპოზიცია "ნორმალური პოლიტიკის" წიაღში დაბრუნებას ისე, რომ არ დაკარგოს რადიკალური მხარდამჭერები. ლიდერები პრეზიდენტთან შეხვედრას ჯერ მხოლოდ მისი გადადგომის ფორმებზე სასაუბროდ თანხმდებოდნენ, ახლა შეხვედრის საჯაროობაა წინაპირობა. ოპოზიციამ ტაქტიკური გამოსავლისთვის შეიძლება ევროკავშირის მზადყოფნა და/ან საპატრიარქოს კურთხევა გამოიყენოს. ნებისმიერი საპროტესტო აქცია საბოლოოდ პოლიტიკის სხვა ფორმაში უნდა გადავიდეს, ეს რკინის კანონია.

ოპოზიციის ზოგიერთი ლიდერი, ხშირად გულახდილად, ამბობს, რომ მას ხალისუფლებასთან დიალოგის არ სჯერა, რადგან დიალოგში ისინი არაერთხელ "გადააგდეს". მართლაც, ხელისუფლებას, რომელიც ასე ცალსახად აკონტროლებს პოლიტიკურ ინსტიტუტებს, ყოველთვის უკეთესი სასტარტო პოზიცია აქვს პოლიტიკურ პროცესში. ასეთ, ინსტიტუციურად "ზედმეტად კონსოლიდირებულ" ხელისუფლებას შეიძლება უფრო მეტი თვითშეზღუდვისკენ მოვუწოდოთ და ამისთვის ქუჩის აქციებიც გამოვიყენოთ, მაგრამ პოლიტიკური მოლაპარაკებების ფორმაზე უარის თქმა უმოკლესი გზაა კიდევ ერთხელ "თვითგადაგდებისკენ".

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ხელისუფლება უფრო გახსნილია პოლიტიკური პროცესისათვის. ამის მიზეზია საერთაშორისო იმიჯი ქვეყანაში არსებულ დემოკრატიის ხარისხზე, ეკონომიკური გამოწვევები და, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, გრძელვადიანი პოლიტიკური სტაბილურობის საკითხი. ეს გულისხმობს ისეთი სისტემის შექმნას, სადაც ხელისუფლებიდან წასვლა არ იქნება პოლიტიკიდან წასვლის ტოლფასი. ბევრი იტყოდა, რომ ამ ფონზე ხელისუფლება მხოლოდ ფასადური ცვლილებებისთვისაა მზად. პასუხი ამ შენიშვნაზე მარტივია, მიზანმიმართულმა პოლიტიკამ შეიძლება ფასადური მზადყოფნა რეალურ ცვლილებებად აქციოს.

დღეს, ისევე როგორც 2008 წლის გაზაფხულზე, არსებობს პოლიტიკის ახალი თამაშის წესების დანერგვის შესაძლებლობა. ევროპის ბევრმა ქვეყანამ გაიარა პოლიტიკური რადიკალიზმის ეპოქა და შეეგუა თამაშის წესების მთავარ პრინციპებს - ძირითადი პოლიტიკური მოთამაშეები არსებობენ მუდმივად, მონაწილეობენ საჯარო პოლიტიკის ყველა საკითხში და აღიარებენ ერთმანეთს, როგორც სრულფასოვან პარტნიორებს. საერთოდ, პოლიტიკოსებს უნდა ესმოდეთ, რომ პოლიტიკური პროცესი მუდმივი მონაწილეობაა, მუდმივი დიალოგია, სადაც არ არსებობს "სრული მოგება" და "სრული წაგება", არ არსებობს სწრაფი შედეგი ხანგრძლივი, რუტინული მუშაობის გარეშე. საქართველოს პოლიტიკური ისტორიის ოცი წლის თავზე, პოლიტიკის რაციონალურმა გაგებამ ფაქტებით ნამდვილად დაამარცხა ემოციური. ახლა ჯერი პოლიტიკურ კლასზეა, რამდენად შეიგრძნობს იგი დროის ამ ცვლილებას.

რუსული პოზიცია

პირველი გვერდიდან

7 აგვისტოს პირველი გასროლაც არა ქართველი, არამედ რუსი სამხედროების მხრიდან მოხდა.

რაც შეეხება მიხეილ სააკაშვილს. მას აქვს ნაკლოვანებები, ისევე როგორც ყველა ნორმალურ ადამიანს, მაგრამ მე არ ვიცნობ თანამედროვე სახელმწიფოს სხვა ლიდერს, რომელიც ასე მოკლე დროში თავისი ქვეყნისთვის ამდენის გაკეთებას შეძლებდა. ამასთან, საერთო ჯამში, შეძლებდა თავისი ხალხის დაცვას ამგვარი უპრეცედენტო ზეწოლისა და აგრესიისგან გაცილებით უფრო დიდი მეზობლის მხრიდან, რომელსაც ესოდენ ცინიკური, ცრუ, ვერაგი და დაუნდობელი ხელისუფლება ჰყავს.

რაც შეეხება შეერთებული შტატების პოზიციას. ომის წინ აშშ-მ თავი ორი რაღაცით გამოიჩინა. პირველი - დაკავებული იყო საჯარო შელოცვებით, რომ ომი არ უნდა დაიწყოს. ხოლო, როდესაც რუსულმა სამხედრო თვითმფრინავებმა საქართველოს საჰაერო სივრცე დაარღვიეს, აშშ-მ ორივე მხარეს თავშეკავებისკენ მოუწოდა . მეორე - აშშ საქართველოს ხელისუფლებას თავს ახვევდა წინააღმდეგობაზე ნებისმიერ სიტუაციაში უარის თქმას. არავითარ შემთხვევაში (მაშინაც, თუ რუსეთი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს დაიკავებდა, თუ რუსული ძალები საქართველოში შემოიჭრებოდნენ, თუ რუსული ტანკები თბილისში შემოვიდოდნენ), არავითარ შემთხვევაში საქართველო რუსეთთან ომში არ უნდა ჩაბმულიყო. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, 2008 წლის აგვისტოში საქართველოს ერთ რამეს სთავაზობდნენ - დანებებას (მე იმაზე არ ვმსჯელობ, სწორი იყო თუ არა ეს რეკომენდაციები. მე იმის შესახებ ვსაუბრობ, როგორი იყო აშშ-ს ადმინისტრაციის ქმედებები არა მითებში, არამედ სინამდვილეში). თუ მანამდე მოსკოვის წინაშე აშშ-ს ხელისუფლებამ კაპიტულაცია გამოაცხადა საკუთრივ მისთვისვე მნიშვნელოვან ყველა საკითხში, რა მოლოდინი უნდა გვქონოდა მისთვის უცხო საქართველოს საკითხებში? არა მხოლოდ ევროპის და ნატო-ს, არამედ აშშ-ს ადმინისტრაციის ასეთი პოზიციაც კარგად, დეტალებში იყო ცნობილი რუსეთის ხელისუფლებისთვის და ამან მას საშუალება მისცა, დაუსჯელი აგრესია განეხორციელებინა. რუსეთში დანამდვილებით იცოდნენ, რომ დასავლეთის მხრიდან რეაქცია შეშფოთებით ამოიწურებოდა, რაც, იმავდროულად, ხელს არ უშლიდა რუსეთის ხელისუფლების მიერ შიდა და გარე მოხმარებისთვის პროპაგანდის წარმოებას სამხრეთ ოსეთისა და რუსეთის წინააღმდეგ აშშ-ს იმპერიალისტური აგრესიის შესახებ.

ამერიკული ადმინისტრაციის იმპოტენციამ საშუალება მისცა რუსულ რეჟიმს, საქართველოზე თავდასხმა განეხორციელებინა და საშუალებას აძლევს, ეს შეტევა ახლაც განაგრძოს.

რუსეთის გენერალური შტაბის მიერ ბრწყინვალედ შემუშავებული ოპერაციის გეგმაში (ხუმრობის გარეშე - ის სახელმძღვანელოებში შევა) და რუსეთის ხელისუფლების მოლოდინებში სულ სამი არსებითი შეცდომა იქნა დაშვებული.

პირველი: მათ სათანადოდ ვერ შეაფასეს სააკაშვილი. მათ საკუთარ თავს დააჯერეს, რომ სააკაშვილი ამერიკის მარიონეტია, შესაბამისად, მხოლოდ ისე იმოქმედებს, როგორც აშშ-ს სურს. მაგრამ, გარდა იმისა, რომ სააკაშვილს უნდოდა და უნდა აშშ-სთან კარგი ურთიერთობა, იგი, პირველ რიგში, ქართველია და საქართველოს ინტერესები მისთვის აშშ-სთან ურთიერთობებზე მნიშვნელოვანია. მათ ასევე ეგონათ, რომ კოლუმბიის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის, ჰააგის საერთაშორისო სამართლის აკადემიისა და სტრასბურგის ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტიტუტის კურსდამთავრებული უსასრულოდ მოითმენდა პროვოკაციებს, საშუალებას მისცემდა ბანდიტებს, დაუსჯელად დაეხოცათ მისი ქვეყნის მოქალაქეები, ხოლო რუსეთის ჯარს - გაევსო სამხრეთ ოსეთი. მაგრამ, სააკაშვილმა არ გაიმეორა ჩეხეთის პრეზიდენტების ბენეშისა და გახის ტრაგიკული შეცდომები, რომლებმაც 1938-39 წლებში დასავლეთის ქვეყნების რეკომენდაციებს იმ უსაფუძვლო იმედით დაუჯერეს, რომ ისინი აგრესორისგან დაიცავდნენ. ამის ნაცვლად, სააკაშვილმა ისე გასცა ბრძანება წინააღმდეგობის გაწევის შესახებ, რომ აღარ დალოდებია საქართველოს ტერიტორიაზე მთელი რუსული საჯარისო დაჯგუფების კონცენტრირებას. შესაძლოა, მან მაშინ დანამდვილებით არც იცოდა იმის შესახებ, რომ რუსულმა რეგულარულმა ნაწილებმა საზღვრის გადაკვეთის ოფიციალური ბრძანება მიიღეს. შედეგად, მოხდა არა იმდენად ქართული მხრიდან პასუხის გაცემა ოსურ პროვოკაციებზე, რამდენადაც ორი რეგულარული არმიის შემხვედრი ბრძოლა.

მეორე: რუსეთის ხელისუფლებამ შეცდომა დაუშვა ქართული ჯარის მომზადების შეფასებაში. როგორც ომში გამოჩნდა, იმის მიუხედავად, რომ ქართველი სამხედროები სულ სხვა, პოლიციური ოპერაციებისთვის იწვრთნებოდნენ, ისინი გაცილებით უფრო მომზადებულები აღმოჩნდნენ, ვიდრე რუსულ დაზვერვას ეგონა. 7-9 აგვისტოს, ორი სამხედრო ძალის შემხვედრ ბრძოლაში (რუსეთ-სამხრეთ ოსეთის კოალიციის ძალების მხარეს ორმაგი რაოდენობრივი უპირატესობით, თუმცა ქართული მხარის ტექნიკური უპირატესობით) ქართველებმა არა მხოლოდ არ წააგეს, არამედ კოალიციის ჯარებს იმაზე მეტი ზიანი მიაყენეს, ვიდრე თავად მიიღეს. ეს რუსეთის სამხედრო და პოლიტიკური ხელმძღვანელობისთვის შოკის მომგვრელი გახდა. პუტინმა სასწრაფოდ შეწყვიტა პეკინში ვიზიტი და ვლადიკავკაზში ჩავიდა. საბოლოო ჯამში, შეკრებილი რუსული დაჯგუფება (200 კილომეტრი ტანკები) მხოლოდ ჯარისკაცთა რაოდენობით ხუთჯერ სჭარბობდა ქართულ დაჯგუფებას და სამჯერ - მთელ ქართულ ჯარს.

მესამე: რუსეთმა შეცდომით შეაფასა აშშ-ს პოზიციის ცვლილების შესაძლებლობა. ოთხდღიანი ბრძოლების და რუსული ჯარების მიერ ავტონომიის ადმინისტრაციული საზღვრის გადმოკვეთის შემდეგ, მაშინ, როდესაც საქართველოს ხელისუფლება განაგრძობდა წინააღმდეგობას და დედაქალაქის შტურმის მოსაგერიებლად ემზადებოდა, აშშ-ს ხელისუფლებამ შეცვალა თავდაპირველი პოზიცია და გააკეთა (პირველად) არაორაზროვანი განცხადება რუსეთის ხელისუფლების მისამართით. მხოლოდ ამის შემდეგ გახდა იძულებული მედვედევი, სარკოზის 6-პუნქტიანი გეგმისთვის მოეწერა ხელი. მაგრამ, ქართული ჯარისგან განსხვავებით, რომელმაც ცეცხლი შეწყვიტა და შეტაკებებს თავს არიდებდა, რუსული ჯარი არ შეჩერებულა. მათ საქართველოს ტერიტორიაზე წინსვლა განაგრძეს და ახალი ქალაქები და ტერიტორიები დაიკავეს - გორი, კასპი, ხაშური, სურამი, რიკოთი, ზუგდიდი, სენაკი, ფოთი, იგოეთი, ახალგორი. მხოლოდ მას შემდეგ, რაც აშშ-მ რეგიონში თავისი ძალების შეყვანა დაიწყო, ხოლო ამერიკულმა სამხედრო გემებმა ბოსფორის სრუტე გაიარეს, რუსულმა ჯარებმა პირველად მიიღეს ნამდვილი ბრძანება, რომ გაჩერებულიყვნენ.

ჩემი პოზიცია (აგვისტოს ომის შესახებ) არ არის პროქართული ან, მით უმეტეს, პროამერიკული. ჩემი პოზიცია რუსულია - არა პრორუსული, არამედ სწორედ რუსული.

ის პოზიცია, რომლის თანახმადაც რუსეთის ხელისუფლებას და რუსულ ჯარს უფლება აქვთ, სხვა ხალხების და, შესაბამისად, საკუთარი ხალხის წინააღმდეგ აგრესიები და დანაშაულები განახორციელონ, გახდნენ საერთაშორისო შარაგზის ყაჩაღები, დახოცონ უცხო ქვეყნის და საკუთარი მოქალაქეები, არ არის რუსული ან პრორუსული. ეს ბანდიტური, ანტიადამიანური, შესაბამისად, ანტირუსული პოზიციაა.

საერთაშორისო ბანდიტიზმის ამ აქტის შედეგად, რუსეთის 600-ზე მეტი და საქართველოს 400-ზე მეტი მოქალაქე დაიღუპა. შესაძლებელი იყო, რომ მათ ეცოცხლათ, მაგრამ დღეს ისინი აღარ არიან. ისინი დახოცა არა სააკაშვილმა, არამედ რუსეთის რეჟიმმა, რომელმაც ორ მეზობელ ხალხს შორის სასაკლაოს პროვოცირება მოახდინა და განახორციელა კიდეც. მან თავის მიზნებს მსხვერპლად შესწირა სამხრეთ ოსეთის, საქართველოს, აფხაზეთისა და რუსეთის ასეულობით მცხოვრები. მან კინაღამ მოახდინა აშშ-სთან უშუალო სამხედრო კონფრონტაციის პროვოცირება, რაც მსოფლიო კატასტროფის პოტენციურ შესაძლებლობას შეიცავს. თუმცა, რეჟიმი კიდევ ვერ დანაყრდა და ახალ ავანტიურებს ამზადებს.

ბანდიტების შეჩერება ქვეყნის შიგნით თუ საერთაშორისო დონეზე არა პროქართული, არამედ საერთოსაკაცობრიო, ნამდვილი რუსული პოზიციაა.

განცხადება

georgianevents
©reative solutions

ა.წ. 22 აპრილს ქ. ბათუმში ჩატარდება საინფორმაციო შეხვედრა ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტის ფარგლებში შავი ზღვის აუზის ქვეყნების საზღვრისმიღმა თანამშრომლობის პროგრამის თაობაზე.

საინფორმაციო შეხვედრაზე დასწრება შეუძლიათ იმ საზოგადოებრივი ორგანიზაციების, სასწავლო და სამეცნიერო ინსტიტუტების, მუნიციპალიტეტების და სამხარეო ადმინისტრაციების თანამშრომლებს, რომლებიც აპირებენ მონაწილეობის მიღებას საზღვრისმიღმა თანამშრომლობის პროექტების მომავალ კონკურსებში.

საინფორმაციო შეხვედრაზე მათი წარმომადგენლის დასწრების მსურველი ორგანიზაციები 18 აპრილამდე უნდა დარეგისტრირდნენ შეხვედრის საორგანიზაციო კომიტეტში. ამისთვის მათ უნდა გაგზავნონ ორგანიზაციის დასახელება, წარმომადგენლის სახელი, გვარი და საკონტაქტო ინფორმაცია შემდეგ მისამართებზე: ელ-ფოსტა lia.todua@rcbi.info ან dato.ncu@caucasus.net , ან ფაქსი: 250711 ან 399019. წერილში მიეთითოს: "მსურს დავესწრო საინფორმაციო შეხვედრას ბათუმში, 22 აპრილს."

შეხვედრა დაიწყება 11 საათზე და დასრულდება 16 საათზე. მონაწილეთა მგზავრობის ხარჯები ანაზღაურდება სამგზავრო ბილეთის წარმოდგენის შემთხვევაში.

დამატებითი ინფორმაცია ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტის ფარგლებში შავი ზღვის აუზის ქვეყნების საზღვრისმიღმა თანამშრომლობის პროგრამის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ ინტერნეტ-გვერდებზე http://www.eu-integration.gov.ge აგრეთვე http://www.rcbi.info და http://www.blacksea-cbc.net

პოლიციის განმარტებები დემონსტრანტების ბრალდებებზე

9 აპრილს, დემონსტრაციების დაწყებიდან მოყოლებული, პოლიცია მაქსიმალური თავშეკავებით მოქმედებს და ამავდროულად ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას, რათა უზრუნველყოს საზოგადოებრივი წესრიგი და მოსახლეობის უსაფრთხოება, ასევე სამოქალაქო უფლებების დაცვა. საქართველოს მთავრობა თვალს ადევნებს დემონსტრაციების მსვლელობას და სერიოზულად განიხილავს ყველა ბრალდებას, რომელი წყაროდანაც არ უნდა მომდინარეობდეს ის, - აცხადებენ შინაგან საქმეთა სამინისტროში. სამინისტროს ინფორმაციითვე, ამგვარი ბრალდებების შემდეგ განხორციელებული მოკვლევისა და გამოძიების შესახებ ინფორმაცია რეგულარულად მიეწოდება საზოგადოებას.

ამჯერად შემოგთავაზებთ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ შესწავლილ მასალებს, რომელიც ოფიციალურად გამოქვეყნდა. საქმე ეხება ოპოზიციის მხრიდან 10 აპრილის აქციების დროს დაფიქსირებულ დარღვევებს და ამ ფაქტებზე გაკეთებულ განცხადებებს.

ოპოზიციის ბრალდებით, **10 აპრილს 01:30 წთ-ზე - შსს-ის სპეცრაზმმა გააჩერა 9 აპრილის წარწერის მქონე, დროშიანი ავტომანქანა, სცემეს მძღოლს და დაამტვრიეს მანქანის შუშები.**

შინაგან საქმეთა სამინისტროს განმარტებით, აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, დაზარალებულს პოლიციისთვის არ მიუმართავს.

11:30 - ავლაბართან მოძრავ სამარშრუტო ტაქსებს და მის მგზავრებს უმიზეზოდ ამოწმებდა საპატრულო პოლიცია, - ასეთი იყო ოპოზიციის მიერ გაკეთებული ერთ-ერთი განცხადება.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალურ განცხადებაშია ნათქვამი, აღნიშნული ფაქტი სიმართლეს არ შეესაბამება. ამ ინციდენტებთან დაკავშირებით არც ერთ დაზარალებულს არ მიუმართავს პოლიციისათვის.

11:55 წთ-ზე სიღნაღის რაიონის სოფელ ნუკრიანში საპატრულო პოლიციამ საბუთების შემოწმების მოტივით გააჩერა რესპუბლიკური პარტიის სიღნაღის ორგანიზაციის თავმჯდომარე თენგიზ ბეჟაშვილი, რომელიც 40 წუთის განმავლობაში გაჩერებული ჰყავდათ და არ უშვებდნენ თბილისის მიმართულებით, - ასეთი იყო ოპოზიციის 10 აპრილს ოპოზიციის მიერ სამართალდამცველებისთვის წაყენებული ერთ-ერთი ბრალდება.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, თენგიზ ბეჟაშვილი საპატრულო პოლიციამ გააჩერა იმის გამო, რომ მისი ავტომობილი ადრე მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევასთან დაკავშირებით ძებნაში იმყოფებოდა. **საპატრულო პოლიციის თანამშრომლები დაუკავშირდნენ ძებნის ინიციატორს და გაარკვიეს, რომ აღნიშნული საქმე უკვე შეწყვეტილი იყო, მაგრამ შესაბამისი დოკუმენტი ჯერ არ იყო მისული საპატრულო პოლიციაში. აღნიშნული დოკუმენტის არსებობის დადასტურებისთანავე, საპატრულო პოლიციამ თენგიზ ბეჟაშვილი გაუშვა, -** ასეთია პოლიციის პასუხი ამ ფაქტთან დაკავშირებით.

ოპოზიციის ერთ-ერთი ბრალდების მიხედვით, 10 აპრილს, ღამის 11 საათზე მოძრაობა რატომ -ის რამდენიმე წევრი, ავტომანქანით რუსთაველის პროსპექტზე მიმდინარე აქციიდან ბრუნდებოდნენ სახლში, როდესაც ისინი გააჩერეს ნიღბიანებმა, რომლებიც სამ უნომრო ჯიპში იყვნენ გადანაწილებულები. ოპოზიციის წევრების ინფორმაციითვე, ნიღბიანმა პირებმა რატომ -ის წევრები ხელკეტებით ცემეს და დაემუქრნენ აღარ წასულიყვნენ აქციაზე.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, პოლიციისათვის დაზარალებულებს არ მოუმართავთ, - ასეთია პოლიციის განმარტება ამ ინფორმაციასთან დაკავშირებით. ზუსტად ასეთივე პასუხი აქვს პოლიციას ოპოზიციური პარტიების მიერ გავრცელებულ კიდევ ერთ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომლის თანახმადაც, 10 აპრილს დღის სამის ნახევარზე, პუშკინის ქუჩაზე საპატრულო პოლიციამ გააჩერა სამარშრუტო ტაქსი წარწერით ბეგიანი , პატრულებმა დაიწყეს მგზავრების დაკითხვა და მათ საშუალება არ მისცეს წასულიყვნენ ცენტრისკენ.

ზაჰესის დასახლების მაცხოვრებლებმა მოგვაწოდეს ინფორმაცია, რომ მოძრაობდნენ N113 ავტობუსით და მათ დაემგზავრნენ ჭიათურის ავტობუსის მგზავრები, რომლებიც პატრულის თანამშრომლებმა აიძულეს, რომ მცირეწლოვანი ბავშვებითა და მძიმე ჩანთებით ავტობუსიდან შუა გზაში ჩამოსულიყვნენ. ზაჰესიდან თბილისისკენ მომავალ ტრასაზე მჭიდროდ არიას განლაგებული საპატრულო პოლიციის მანქანები და პატრულის თანამშრომლები. ისინი აჩერებენ სამარშრუტო ტაქსებსა და ავტობუსებს და აიძულებენ უკან გაბრუნდნენ და არ შემოვიდნენ თბილისში, - ასეთი იყო საპროტესტო აქციაზე გაკეთებული ერთ-ერთი განცხადება.

ამ ინფორმაციასთან დაკავშირებით, შინაგან საქმეთა სამინისტროში განმარტავენ, რომ აღნიშნული ინფორმაცია სინამდვილეს არ შეესაბამება. ზაჰესიდან თბილისისკენ მოძრავ N113 ავტობუსიდან პატრულის თანამშრომლების მიერ მგზავრების იძულებით ჩამოსმის ფაქტს ადგილი არ ჰქონია. თბილისისაკენ მომავალი სამარშრუტო ტაქსებისა და ავტობუსების მოძრაობა შეზღუდული არ ყოფილა.

საჩხერის გადასახვევთან გაჩერებულ თვითმცლელებთან, რომლებიც დატვირთული იყო სილითა და ქვიშით, ჩავიდნენ საზოგადოებრივი დამკვირვებლების წარმომადგენლები. პატრულთან გასაუბრებისას პოლიციის თანამშრომლებმა ჯერ განაცხადეს, რომ მათ ხელმძღვანელობისგან, კერძოდ, ბატონი კობიაშვილისაგან ჰქონდათ მიღებული ბრძანება, არსად გაეშვათ დატვირთული მანქანები. ერთ-ერთი ავტომანქანა წაიყვანეს, აწონეს ტვირთი და მძღოლს დაუფიქსირეს ზედმეტი წონა, რის გამოც პატრულმა მძღოლი 4000 ლარით დააჯარიმა, - დემონსტრანტების მიერ გავრცელებულ ამ ინფორმაციაზე შინაგან საქმეთა სამინისტრო კომენტარს აკეთებს. პოლიციის განმარტებით, საპატრულო პოლიციის მიერ კანონმდებლობით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ტვირთის გადატანის გამო თვითმცლელების მძღოლების დაჯარიმება ჩვეულებრივი პრაქტიკაა. 9-10 აპრილს, თბილისი-სენაკი-ლესელიძის გზის 117-ე კილომეტრზე (საჩხერის გადასახვევთან) საპატრულო პოლიციამ აღნიშნული გადაცდომის გამო სამი მძღოლი დაჯარიმა, თუმცა, არც ერთი მათგანი არ დაჯარიმებულა 4000 ლარით.

საკუთარი ინფორმაცია

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის განცხადება

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ სპეციალური განცხადება გაავრცელა.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია გმობს უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში მშვიდობიან მომიტინგეებზე გახშირებული თავდასხმებისა და ფიზიკური ანგარიშსწორების ფაქტებს და მოუწოდებს ხელისუფლებას, დაუყოვნებლივ დაგმოს, აღკვეთოს და გამოიძიოს ძალადობის თითოეული შემთხვევა, - აღნიშნულია განცხადებაში.

როგორც ახალგაზრდა იურისტები აცხადებენ: პოლიციის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, პოლიცია **უზრუნველყოფს საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და წესრიგის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან".** ამავე კანონის მე-8 მუხლის თანახმად, **პოლიცია თავისი ამოცანების განხორციელებისას მოვალეა უზრუნველყოს მშვიდობიანი მიტინგების, დემონსტრაციების და მოქალაქეთა მასობრივი ღონისძიებების მონაწილეთა უსაფრთხოება."**

ამ მხრივ განსაკუთრებით სამწუხარო და შემაშფოთებელია ის ფაქტი, რომ დარბევის ერთ-ერთი მსხვერპლის განცხადებით, მათ მიმართ ფიზიკური ანგარიშსწორების ფაქტს მშვიდად ადევნებდა თვალს საპატრულო პოლიციის რამდენიმე თანამშრომელი, - აცხადებენ არასამთავრობო ორგანიზაციი წარმომადგენლები.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია მოუწოდებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, პასუხისმგებლობა დააკისროს საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს, რომლებმაც, 10 აპრილის 20:00 საათისთვის, მათზე კანონით დაკისრებული მოვალეობების საწინააღმდეგოდ, არ დაიცვეს ალიანსი საქართველოსთვის" რამდენიმე აქტივისტის უსაფრთხოება მაშინ, როდესაც მათ უცნობი პირები ფიზიკურად უსწორდებოდნენ.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია სახალხო დამცველის აპარატთან ერთად აგრძელებს დემონსტრაციების მონიტორინგს და სამართლებრივ დახმარებას სთავაზობს ნებისმიერ პირს, რომელიც გახდება უფლებათა დარღვევის მსხვერპლი.

საკუთარი ინფორმაცია

მკვლელობა მუხიანში

მუხიანის მეორე მიკრორაიონში გუშინწინ მომხდარი ინციდენტის შედეგად კიდევ ერთი ახალგაზრდა, 18 წლის ლევან გახელაძე, ოპერციის დროს გარდაიცვალა.

სროლის ხმა მუხიანის მეორე მიკრორაიონის 21-ე კორპუსში გუშინწინ საღამოს, დაახლოებით ექვს საათზე გაისმა. სროლის შედეგად ადგილზე გარდაიცვალა 21 წლის სერგო მელქაძე, მძიმედ დაჭრილი ძმები გახელაძეები კი სავადმყოფოში გადაიყვანეს. ექიმების განმარტებით, თემურ გახელაძის მდგომარეობა მძიმეა. მას ჭრილობა თავის არეში აქვს მიყენებული. თვითმხილველების განცხადებით, ახალგაზრდები ეზოში "დომინოს" თამაშობდნენ, როდესაც ეზოში შევარდნილი ავტომანქანიდან მათ უცნობმა პირებმა ცეცხლი გაუხსნეს. სროლა რამდენიმე წამს გაგრძელდა, რის შემდეგაც თავდამსხმელები მიიმალნენ. ერთი ახალგაზრდა - 19 წლის სერგი მელქაძე ადგილზე გარდაიცვალა, ძმები ლევან და თემურ გახელაძეები მიყენებული მძიმე ჭრილობებით საავადმყოფოში გადაიყვანეს. თვითმხილველების ვერსიით, მომხდარი თავდასხმა რამდენიმე დღის წინანდელ კამათს უკავშირდება. თვითმხილველების ვარაუდითვე, შესაძლოა, მკვლელობის მიზეზი შურისძიება გამხდარიყო.ინციდენტის შედეგად უვნებლად მხოლოდ გიორგი აფხაზავა გადარჩა, რომელიც სამართალდამცველებმა უკვე დაკითხეს. მიმდინარეობს გამოძიება. სამართალდამცავები კომენტარისგან თავს იკავებენ.

ჯი-ეიჩ-ენი

მოსკოვში ქართველი "კანონიერი ქურდი" დააკავეს

მოსკოვში ქართველი "კანონიერი ქურდი" თეიმურაზ ჯალაღონია დააკავეს. ჯალაღონიას ბრალად ხუთი ათასი რუბლის ღირებულების ელიტარული ღვინის ბოთლის ქურდობა ედება. თეიმურაზ ჯალაღონია ქურდულ სამყაროში ჩინჩხლიას სახელით არის ცნობილი. მედიის ინფორმაციით, ჯალაღონია ცნობილ ავტორიტეტთან, ტარიელ ონიანთან დაახლოებული პირია.რუსული მედიის ინფორმაციითვე, რუსეთში ამ დროისათვის 1200 "კანონიერი ქურდია", რომელთა ნახევარს საქართველოდან წასულები შეადგენენ. დაახლოებით ასი ავტორიტეტი ქართველი ან არალეგალია, ან გაყალბებული საბუთებით სარგებლობს.

ჯი-ეიჩ-ენი

ლტოლვილებზე სამგზავრო დოკუმენტების გაცემა დაიწყო

საქართველოში პირველად, ლტოლვილებზე სამგზავრო დოკუმენტების (პასპორტების) გაცემა დაიწყო, რომლითაც ისინი საზღვარგარეთ გადაადგილებას შეძლებენ.

პანკისის ხეობის სოფელ დუისში იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თავმჯდომარე გიორგი ვაშაძე, ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი კობა სუბელიანი და გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის წარმომადგენელი საქართველოში პიტერ ნიკოლაუსი ჩავიდნენ და ჩეჩენ ლტოლვილებს სამგზავრო დოკუმენტები ადგილზე გადასცეს.

საერთო ჯამში, სამგზავრო დოკუმენტს 1000-მდე ლტოლვილი მიიღებს.

საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ" კანონით, ლტოლვილებზე სამგზავრო დოკუმენტების გაცემა გახდა შესაძლებელი.

იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის (UNHCR) წარმომადგენლობამ საქართველოში ლტოლვილებისთვის სამგზავრო დოკუმენტების (პასპორტების ბუკლეტების) დაბეჭდვისთვის თანხები გამოუყო. სააგენტომ, თავის მხრივ, აღნიშნული სამუშაოს შესასრულებლად ხელშეკრულება ფრანგულ კომპანია Imprimerie Nacionale Kontinun Servis"-სთან დადო, რომელიც საქართველოს მოქალაქის პასპორტებს ბეჭდავს.

"ჩეჩენი ეროვნების ლტოლვილებს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს წარმომადგენლებმა ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსთან ერთად, ერთი წლის წინ ბინადრობის მოწმობები გადასცეს, რა დროსაც მათ მიიღეს დაპირება, რომ მომავალში სამგზავრო დოკუმენტებს (პასპორტებს) მიიღებდნენ. ლტოლვილები პასპორტებით საქართველოს საზღვარზე უპრობლემოდ გადაადგილებას შეძლებენ და როგორც სხვა ქვეყანაში მცხოვრები ახლო ნათესავების მონახულების, ასევე ეკონომუკური ხასიათის ურთიერთობების დამყარების საშუალება მიეცემათ. დოკუმენტი უფასოდ გაიცემა და მას მოქმედების სამწლიანი ვადა აქვს," - განმარტავს სამოქალაქო რეესტრის საგენტოს თავმჯდომარე გიორგი ვაშაძე.

პირველი

ანაბრების გათამაშება
გახდი მილიონერი!

27 27 27 | * 27 27 | www.tbcbank.ge

თიბისი ბანკი
TBC BANK

ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

ტაილანდის პრემიერი ძალის გამოყენებით იმუქრება

მარიკა იაშვილი

AFP ' 2009

ტაილანდის პრემიერი აცხადებს, რომ არ არის გამორიცხული, ანტისამთავრობო დემონსტრაციების მონაწილეთა წინააღმდეგ ძალა გამოიყენოს. ქვეყნის მთავრობის მეთაური აბხისტ ვეტჩაჩივა უწესრიგობის ჩახშობის "მკაცრ ფორმებზე" მას შემდეგ ალაპარაკდა, რაც ბანგკოკსა და მის შემოგარენში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა.

საგანგებო რეჟიმის შემოღება იმ ხმაურიან საპროტესტო გამოსვლებს მოჰყვა, რომელთა შედეგადაც შაბათს ტაილანდში დაგეგმილი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ასოციაციის სამიტი ჩაიშალა.

საგანგებო მდგომარეობა ქვეყნის დედაქალაქსა და ხუთ შტატშია გამოცხადებული. კანონის მოქმედება ბანგკოკზე და ნონტაბურის, სამუტ პრაკანის, პატუმ ტანის, ნაკხონ პატომისა და აიუტაის შტატებში მოქმედებს. ქუჩებში უკვე გამოჩდნენ ჯარისკაცთა ჯგუფები და ტანკები. რეჟიმის დაცვაზე პასუხისმგებელია ტაილანდის ვიცე-პრემიერი სუტეპ ტაუგსუბანი. ვიცე-პრემიერს ქვეყანაში ვითარების ნორმალიზებაში ქვეყნის პოლიცია და არმია დაეხმარებიან. უწყებებს შესაბამისი ბრძანება უკვე მიღებული აქვთ.

კვირას ვეტჩაჩივამ სატელევიზიო გამოსვლაში აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში, თუ ბანგკოკის ქუჩებსა და მის მიმდებარედ პროტესტი არ შეწყდება, ხელისუფლება იძულებული იქნება, საგანგებო რეჟიმის შემოღების გარდა, "დამატებითი ზომებიც" მიიღოს.

"მინდა, აქციის მონაწილეებს ვუთხრა, რომ მათ არ აქვთ კანონის დარღვევის და სხვა ადამიანების თავისუფლების შეზღუდვის უფლება," - განაცხადა პრემიერმა ოპონენტებისადმი მიმართვისას.

საინტერესოა, რომ საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებამ უკმაყოფილო ტაილანდელები ვერ შეაჩერა. რეჟიმის შემოღებიდან ერთ საათში, აქციის მონაწილეები ტაილანდის შინაგან საქმეთა სამინისტროში შეიჭრნენ, სადაც იმ დროისთვის პრემიერ-მინისტრი აბხისტ ვეტჩაჩივა იმყოფებოდა. პრემიერმა მოწინააღმდეგეებს თავი მანქანით დააღწია. ტაილანდის ტელევიზიის ეთერში გავიდა რეპორტაჟი, რომელშიც ჩანდა, როგორ მიიმალა პრემიერის მანქანა ხალხში, რომლებიც ავტომობილს ხელკეტებს ურტყამდნენ. თუმცა სანამ მანქანისთვის თავის შეფარებას მოასწრებდა, პრემიერი ხელში დაიჭრა. მან დაზიანება სამინისტროს შენობიდან გამოსვლისას მიიღო, მას დემონსტრანტები დაესხნენ თავს. პრემიერამდე აქციის მონაწილეთა მსხვერპლი მისი მოადგილე ნიპონ პრომპალა გახდა, რომელიც დემონსტრანტებმა თავში დაჭრეს.

უსაფრთხოების სამსახურებს თავდაპირველად დემონსტრანტთა შეჩერება არ უცდიათ, მაგრამ შემდეგ ჰაერში რამდენჯერმე გამაფრთხილებლად ისროლეს.

ტაილანდში საგანგებო მდგომარეობის შემოღების შესახებ კვირას სახელმწიფო ტელევიზიის ეთერით, საინფორმაციო გამოშვების დროს გამოცხადდა. დიქტორის განმარტებით, რეჟიმის გამოცხადების მიზეზი გახდა **"შემაშფოთებელი ვითარება ადამიანების ჯგუფის გამო, რომლებიც მასობრივ არეულობებს იწვევენ."** საგანგებო მდგომარეობის შემოღება წინ უსწრებდა პრმიერ-მინისტრის გამოსვლას, რომელმაც დაძაბულობა კიდევ უფრო გაამწვავა.

ვეტჩაჩივამ განაცხადა, რომ **"ხელისუფლება მუდმივად ცდილობდა, ბოლო მოეღო ძალადობისთვის, მაგრამ საპროტესტო აქციები კიდევ უფრო იზრდებოდა და ანტიკონსტიტუციურ ქმედებებს იწვევდა."** პრემიერის სიტყვებით, ხელისუფლებას ერთადერთი გამოსავალი დარჩა - საგანგებო რეჟიმი.

შაბათს ტაილანდის პოლიციამ ოპოზიციონერი არისმან პონგრუენგრონგი - ანტისამთავრობო დემონსტრაციების ორგანიზატორი დააკავა.

პოლიციის განცხადებით, პონგრუენგრონგი პატიმრობაში ბანგკოკში, თავისსავე სახლში იმყოფება. მას მასობრივი არეულობის გამოწვევასა და პრმიერ-მინისტრის მოტაცებისკენ მოწოდებაში აქვს ბრალი წაყენებული. სამართალდამცავებმა ისიც განაცხადეს, რომ ოპოზიციონერი ხელისუფლებასთან თანამშრომლობისთვის მზად არის. პოლიციაში აგრეთვე ადასტურებენ, რომ უახლოეს მომავალში დემონსტრაციის სხვა მონაწილეთა დაპატიმრებაც მოსალოდნელია.

პრემიერმა უკვე გააკეთა განცხადება იმის შესახებ, რომ დემონსტრანტები, რომელთა ქმედებები უკანონოა, აუცილებლად დაისჯებიან.

შაბათს ანტისამთავრობო დემონსტრაციის ათასობით მონაწილემ პოლიციის კორდონი გაარღვია და იმ შენობის პრესცენტრში შეიჭრა, სადაც აზიის ქვეყნების სამიტი უნდა ჩატარებულიყო. ისინი ტაილანდის მოქმედ პრემიერ-მინისტრ აბხისტა ვეტჩაჩივას გადადგომასა და ახალი არჩევნების ჩატარებას მოითხოვდნენ.

ბანგკოკში გასული კვირის განმავლობაში მიმდინარე აქციებში, დაახლოებით, 100 ათასი ადამიანი მონაწილეობდა. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ტაილანდი არასდროს ყოფილა სახელმწიფო გადატრიალებასთან ისე ახლოს, როგორც დღეს არის.

მოლდოვაში კუდიანებზე ნადირობა იწყება

ივა შილაკაძე

საპროტესტო აქციების სიმწვავემ მოლდოვას დედაქალაქში აშკარად იკლო. წინა კვირის ბოლომდე ცენტრალურ მოედანზე ხალხი იკრიბებოდა, მაგრამ მათი რაოდენობა 1000-2000 კაცს არ აღემატებოდა. ცხადია, ხალხის სიმცირეს ისიც განაპირობებს, რომ არეულობების შემდეგ, რომელთან კავშირიც წამყვანმა ოპოზიციურმა პარტიებმა კატეგორიულად უარყვეს, ეს უკანასკნელები ფრთხილობენ და საკუთარი მომხრეების ქუჩაში გამოყვანას ერიდებიან.

კვირას შინაგან საქმეთა სამინისტრომ იმ დაკავებულების სია გამოაქვეყნა, რომლებიც მასობრივი უწესრიგობების გამო დააპატიმრეს. ეს ოპოზიციის ერთ-ერთი მოთხოვნა იყო. შსს-ს პრესმდივანი ალა მელეკას განცხადებით, ამ სიის გასაიდუმლოება არავის უცდია, უბრალოდ, პირველ დღეებში ის ძალიან სწრაფად იცვლებოდა. ბევრი დაკავებული მათი პიროვნების დადგენისა და იმის გარკვევის შემდეგ გაათავისუფლეს, რომ დარბევასთან და მაროდიორობასთან კავშირი არ ჰქონდათ. გუშინდელი დღისთვის სამართალდარღვევათა გამო ადმინისტრაციული წესით 5-დან 15 დღემდე დაკავებულია 129 პიროვნება, ზოგიერთი მათგანი დააჯარიმეს. სისხლის სამართლის საქმეა აღძრული 166 ადამიანის მიმართ. ეს ის ხალხია, ვინც სამთავრობო შენობების დარბევაში, ვანდალიზმსა და მაროდიორობაში მონაწილეობდა. ამას გარდა, 14 დაკავებულს ბრალდება მასობრივი არეულობების ორგანიზება. შსს-ს საიტზე კი, რატომღაც, ორ სიაში 229 პიროვნების გვარია მითითებული. ეს ნიშნავს, რომ სიებში ისევ არსებობს გაურკვევლობა.

გუშინ დაიღუპა აქციებში მონაწილე 23 წლის ახალგაზრდა, ვინმე ვალერი ბობოკი. მისი მშობლების თქმით, არეულობების შემდეგ იგი პოლიციამ დააპატიმრა და ფიზიკურად გაუსწორდა, რის გამოც გარდაიცვალა. სხვა ვერსიით, ვალერი ბობოკი შეიძლება გაზით მოიწამლა. შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესმდივანმა განაცხადა, რომ მის უწყებას ამ ფაქტის შესახებ ინფორმაცია არა აქვს.

შაბათს გავრცელდა ცნობა, რომ უკრაინის გენერალური პროკურატურა იწყებს მოლდოვას ორი მოქალაქის ექსტრადირების საკითხის განხილვას, რომლებიც კიშინიოვში მომხდარი არეულობების ორგანიზებაში არიან ეჭვმიტანილები. როგორც ჩანს, ამ ორ მოქალაქეში იგულისხმებიან ბიზნესმენი გაბრიელ სტატი და აურენ მარინესკუ. ისინი უკრაინის პოლიციამ და უშიშროებამ 9 აპრილს ოდესის აეროპორტში დააკავა. გაბრიელ სტატი გამოსვლების ერთ-ერთ შესაძლო ორგანიზატორად მოლდოვის გენერალურმა პროკურორმა ვალერი გურბულიამ და ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარემ იური როშკამ დაასახელეს. მასზე მინიშნება გააკეთა პრეზიდენტმა ვორონინმაც. გაბრიელ სტატს და მისი მამას, მილიარდერ ანატოლ სტატს (ეს უკანასკნელი რუმინეთში ცხოვრობს) სხვადასხვა ქვეყნებში ნავთობის, გაზის და სამშენებლო ბიზნესი აქვთ. უმცროსი სტატი საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწევა. არსებობს ინფორმაცია, რომ სტატების ოჯახი დაპირისპირებულია პრეზიდენტ ვორონინთან და ისინი ოპოზიციურ ორგანიზაციებსა და გამოცემებს აფინანსებენ. უკრაინის პროკურატურამ განაცხადა, რომ ბრმად არავის გადაცემას არ აპირებენ და საქმის შესწავლა შეიძლება თვეების განმავლობაში გაგრძელდეს.

პარასკევს კიშინიოვში დააპატიმრეს რუმინეთის მოქალაქე, ვინმე ნ. იორდანი, როგორც არეულობების ერთ-ერთი ორგანიზატორი. მას აღმოუჩინეს კიშინიოვის რუკა, ადმინისტრაციული შენობების ფოტოები და ბოთლები ასაფეთქებელი ნივთიერებით.

ამ დღეებში მოლდოვას გაზეთ "Jurnal de Chisinau"-ისა და ონლაინ-ტელეარხ "ჯურნალტვ.მდ"-ის კოლექტივებმა მთლიანი შემადგენლობით მოითხოვეს პოლიტიკური თავშესაფარი ამერიკის შეერთებულ შტატებში. ჟურნალისტებმა განაცხადეს, რომ ქვეყანაში ბოლო დღეებში თავისუფალი პრესის მიმართ უპრეცედენტო ტერორი ხორციელდება. ამ მედიასაშუალებების რამდენიმე წარმომადგენელი დააკავეს და დაკითხეს. ორ ჟურნალისტზე ძებნაა გამოცხადებული. ზოგი ინფორმაციით, ისინი 7 აპრილის საპროტესტო აქციის ორგანიზატორებს შორის იყვნენ. პოლიტიკური თავშესაფრის მსურველი ჟურნალისტები აცხადებენ, რომ კომპარტიას დაგეგმილი აქვს ყველა დემოკრატიული ინსტიტუტის გაუქმება. ამან შეიძლება ყველა ის თავისუფლება შეზღუდოს, რასაც ქვეყანამ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ მიაღწია.

არ დადასტურდა ბუქარესტსა და კიშინიოვს შორის სარკინიგზო მიმოსვლის შეწყვეტა. "მოლდოვის რკინიგზის" ხელმძღვანელის სიტყვებით, მიმოსვლის გრაფიკი, უბრალოდ, განახევრდა და ორშაბათიდან მატარებელი ორ დღეში ერთხელ ივლის, შეფერხება კი ტექნიკური მიზეზით ახსნა..

სლოვენია ფინეთთან სამხედრო კონტრაქტის გაწყვეტას აპირებს

სლოვენიის მთავრობამ, შესაძლოა, ფინეთთან 364 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების სამხედრო კონტრაქტი გაწყვიტოს. ამის მიზეზი ის არის, რომ სლოვენია დროულად ვერ იღებს "პატრიას" ტიპის ჯავშანტრანსპორტიორებს და მათ ტექნიკური პრობლემები აღმოაჩნდათ. ორ ქვეყანას შორის კონტრაქტი 2006 წელს გაფორმდა და ის სლოვენიისთვის 2008-2013 წლებში 135 "პატრიას" მიწოდებას ითვალისწინებდა. თუმცა, 2008 წელს "პატრიას" ტექნიკური ხარვეზები აღმოაჩნდა და სლოვენიისთვის ჯავშანტრანსპორტიორების მიწოდება გადაიდო. თავის მხრივ, ოფიციალური ლუბლიანა აცხადებს, რომ თუ "პატრიამ" გამოცდების პირველი ეტაპი ვერ გაიარა, სლოვენია ამ ჯავშანტრანსპორტიორებს შეიარაღებაში არ მიიღებს. "პატრიას" შეიარაღებაში მიღებას ხორვატია, მაკედონია, პოლონეთი, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა და არაბთა გაერთიანებული საემიროებიც გეგმავენ. სულ შეკვეთების პორტფელი 1300 ჯავშანტრანსპორტიორს მოიცავს. ჯავშანტრანსპორტიორი "პატრია" სხვადასხვა მოდიფიკაციისაა. სლოვენიისთვის განკუთვნილი ჯავშანტრანსპორტიორები "პატრია ნემოს" 120-მილიმეტრიანი ნაღმტყორცნებით აღიჭურვება, რომლის საცეცხლე მანძილი 10 კილომეტრს შეადგენს.

მედიანიუსი

გაერო-ს უშიშროების საბჭომ ფხენიანის მოქმედება გააკრიტიკა

გაერო-ს უშიშროების საბჭომ მიიღო განცხადების პროექტი, რომლითაც გაკრიტიკებულია გასულ კვირას ოფიციალური ფხენიანის მიერ რაკეტის გაშვება. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ჩრდილოეთ კორეის მოქმედება ეწინააღმდეგება 1718-ე რეზოლუციას. უშიშროების საბჭოში მოლაპარაკებები "5+1" ფორმატით გაიმართა, რომელშიც, საბჭოს წევრების გარდა, იაპონიაც მონაწილეობდა. მხარეები ერთი კვირის მანძილზე დავობდნენ - ტოკიო რეზოლუციის მიღებას მოითხოვდა, მაშინ როცა პეკინი შედარებით ზომიერ სანქციებს ემხრობოდა. საბოლოო ჯამში, იაპონიამ დათმო. პროექტის ავტორებმა თავი აარიდეს ისეთ ფორმულირებას, როგორიცაა "რეზოლუციის დარღვევა", რასაც იაპონური მხარე მოითხოვდა. თუმცა, დოკუმენტი შეიცავს სანქციების გამკაცრებისკენ მოწოდებას, რასაც ჩრდილოეთ კორეის შესახებ მიღებული 1718-ე რეზოლუცია ითვალისწინებს. 2006 წელს მიღებული რეზოლუცია ჩრდილოეთ კორეას მოუწოდებდა, "შეეჩერებინა ყველა მოქმედება, რაც კი ბალისტიკური რაკეტების პროგრამას უკავშირდებოდა და ამ კონტექსტში აღედგინა რაკეტების გაშვების მორატორიუმზე აღებული ძველი ვალდებულებების შესრულება." დოკუმენტი ასევე ითვალისწინებდა ჩრდილოეთ კორეისთვის ნებისმიერი ჩვეულებრივი სამხედრო ტექნიკის, შეიარაღების, მასალის, აღჭურვილობის, საქონლისა და ტექნოლოგიის გადაცემა-მიყიდვას, რისი გამოყენებაც მასობრივი განადგურების იარაღის შესაქმნელად შეიძლება. გაერო-ში შეერთებული შტატების ელჩ სიუზან რაისის განცხადებით, ახალ ღონისძიებებად შეიძლება გამოიყენონ ჩრდილოკორეული ავუარებისა და საქონლის ჩამონათვალის გაფართოების გაყინვა, რომლის ექსპორტიცა და იმპორტიც ჩრდილოეთ კორეისთვის აიკრძალება. ამგვარად, უშიშროების საბჭო ფხენიანს "მკაფიო სიგნალს უგზავნის, რომ მათ მიერ თანამგზავრის გაშვება რეალურად ძველი ვალდებულებების დარღვევას ნიშნავს, რაც რეაგირების გარეშე არ დარჩება." რეზოლუციისგან განსხვავებით, უშიშროების საბჭოს განცხადებას სავალდებულო ხასიათი არა აქვს. ჩრდილოეთ კორეამ რაკეტა ერთი კვირის წინ გაუშვა და ირწმუნება, რომ ამის მიზანი იყო მხოლოდ ორბიტაზე სამოქალაქო თანამგზავრის გაშვება, მაშინ როცა სხვებს მიაჩნიათ, რომ ფხენიანმა რეალურად ბალისტიკური რაკეტა გამოსცადა. ჩრდილოეთ კორეა დაიმუქრა, რომ ექვსმხრივ მოლაპარაკებებს დატოვებდა, თუკი უშიშროების საბჭო მის ქმედებას გააკრიტიკებდა.

საკუთარი ინფორმაცია

საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის ინიციატივით ცხადდება 2009 წლის სასწავლო - სამაგისტრო პროგრამა!

გრანტი გაიცემა უმაღლესი განათლების მქონე საქართველოს სრულწლოვან მოქალაქეს, რომლის ასაკი არ აღემატება 40 წელს და რომელიც მაგისტრის აკადემიური ხარისხის მიღების მიზნით ჩაირიცხა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

გრანტის მისაღებად დარეგისტრირება შესაძლებელია 2009 წლის 31 მარტიდან ა.წ. 26 ივნისამდე.

დამატებითი ინფორმაციისვის იხილეთ ვებ. გვერდი WWW.DRF.ORG.GE ; ტელ: 996 723; 93 28 53.

CMYK - 8

სტაბილურობისთვის...
სიმშვიდისთვის...
გარანტირებული
სარგებლისთვის...
მიენდეთ საბანკო ჯგუფს, რომელსაც მსოფლიოში მილიონობით მეანაბრე ენდობა!

ბანკი რესპუბლიკა
BANK REPUBLIC

ჯგუფი სოსიეთე ჟენერალი

CMYK - 8

CMYK - 9

"მეგობარი" სნაბარი

გახსენი!

თანხის შეტანა - გატანა ნებისმიერ დროს

გამოტანა ნებისმიერი ბანკომატიდან

10% - მდე სარგებელი

(822) 92 55 55
www.republic.ge

CMYK - 9

ყოველ ორშაბათს საქართველოს ეროვნული მუზეუმი და გაზეთი "24 საათი" წარმოგიდგენთ პროექტს, რომელიც ეროვნულ მუზეუმში გაერთიანებული სხვადასხვა მუზეუმის გამორჩეული ექსპონატების პოპულარიზაციას ისახავს მიზნად.

ლადო გუდიაშვილის "იდილია"

ლადო გუდიაშვილი (1896 -1980 წწ.), რომლის შემოქმედებაც მოღვაწეობის მრავალმხრივობით გამოირჩევა (იგი ერთდროულად იყო ფერმწერი, გრაფიკოსი, ფერმწერ-მონუმენტალისტი, თეატრისა და კინოს მხატვარი, ილუსტრატორი), ქართველ მხატვართა იმ თაობას მიეკუთვნება, რომლებმაც მოღვაწეობა XX საუკუნის 10-იან წლებში დაიწყეს და თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეროვნული მხატვრული სკოლა შექმნეს, რომელიც მხატვრული მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. ლადო გუდიაშვილის, დავით კაკაბაძის, შალვა ქიქოძის, ელენე ახვლედიანის, ქეთევან მაღალაშვილის და სხვათა შემოქმედებაში მკაფიოდ აისახა ახალი მხატვრული ფორმის ძიების პროცესი, რაც ეროვნული თუ ევროპული კულტურის ტრადიციებს ეფუძნებოდა. ნათლად წარმოჩნდა მათი მსოფლმხედველობა, დამოკიდებულება სამყაროსადმი, სწრაფვა თანამედროვე ხელოვნების პრობლემათა გადწყვეტისაკენ, მათი ოსტატობა.

ლადო გუდიაშვილისათვის დამახასიათებელი სწრაფვა დეკორაციულობისა და ექსპრესიულობისაკენ მის შემოქმედებაში ეროვნულ თავისებურებათა გამომხატველია. გუდიაშვილის 20-იანი წლების ნამუშევრები ფორმათა სიბრტყობრივი ხასიათითა და ხაზის გამომსახველობით გამოირჩევა, რაც სურათების მონუმენტურ ხასიათს განსაზღვრავს და მთლიანობაში კი შუა საუკუნეების ქართული მონუმენტური მხატვრობის პრინციპებისა და ესთეტიკისადმი მის ინტერესს ავლენს. ლადო გუდიაშვილი მკაფიოდ გამოხატული ინდივიდუალობის მქონე შემოქმედია, რომელმაც მხატვრულ სახეთა საკუთარი მდიდარი სამყარო შექმნა.

ლადო გუდიაშვილის ფერწერული ტილო "იდილია" (ტილო, ზეთი, 71X107,5) 1920 წელს მხატვრის პარიზში მოღვაწეობის პერიოდშია შესრულებული, ასე რომ ეს ნამუშევარი მისი შემოქმედების ადრეულ პერიოდს მიეკუთვნება, რომელიც ორიგინალურობით გამოირჩევა და უფრო მეტად ფასეულია. სურათის წინა პლანზე, ჰორიზონტალურად, ზურგიდან მოცემულია შიშველი ქალის ფიგურა. ქალის თავთან, ორივე მხარეს ორი მჯდომარე ფიგურაა გამოსახული. სურათის ფონი შევსებულია მცენარეთა გამოსახულებებით. სურათის ქვედა ნაწილში წყლის ზედაპირზე შიშველი ქალის ფიგურა აირეკლება. სურათის საერთო კოლორიტში მუქი მწვანე, ყავისფერი, და შავი ჭარბობს. აქ მხატვარი ადამიანისა და ბუნების ჰარმონიულ მთლიანობას გვიჩვენებს, რაც ზოგადად მისი აღქმის თავისებურების გამომხატველია. კომპოზიცია ხაზის არაჩვეულებრივი მელოდიურობით გამოირჩევა რაც ზოგადად გუდიაშვილის შემოქმედებისათვისაა დამახასიათებელი. აქ უკვე ნათლად ჩანს მისი ინტერესი ქალის შიშველი სხეულისადმი, მისი პლასტიკისა და თავისებურებების გადმოცემისაკენ სწრაფვა. ეს სურათი, ამ თვალსაზრისით მსგავსებას ავლენს ლადოს გუდიაშვილის მიერ ამავე პერიოდში შესრულებულ ტილოებთან "გაზაფხული", "სტუმრად ლურჯ ცხენთან", "ქალი მთებში", რომლებიც შ. ამირანაშვილის ხელოვნების მუზეუმშია დაცული.

ფერწერული ტილოც "იდილია" დღეს საქართველოს ეროვნული მუზეუმის შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის ახალი და თანამედროვე ქართული ხელოვნების კოლექციის ფონდში ინახება. აღნიშნულ ფონდში სურათი ხელოვნების მუზეუმიდან "მეტეხი" მოხვდა.

ნინო ხუნდაძე
საქართველოს ეროვნული მუზეუმი

სტივ ოსტენი - კულტურის ანტერპრენიორი

თამარ კიკნაველიძე



სტივ ოსტენი

გასულ კვირას დასრულდა პროექტი, რომელიც, როგორც მისი განხორციელების ინიციატორი - ლევან ხეთაგური აღნიშნავს, საქალაქო კულტურის პოლიტიკის სტიმულირებისთვის შეიქმნა. ამ ინიციატივის მნიშვნელობაზე მოგვიანებით (გაზეთ "24 საათის" შემდეგ ნომერში) ვისაუბრებთ. ამჯერად გთავაზობთ ინტერვიუს სტივ ოსტენთან, რომელიც პროექტში უშუალოდ მონაწილეობდა და ამ უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი გახდა.

სტივ ოსტენი ფელიქს მერიტის ფონდის (ამსტერდამი, ნიდერლანდების სამეფო) მრჩეველია, არის კულტურის ანტერპრენიორი, კონსულტანტი, პუბლიცისტი და გაერთიანების - "ევროპის სულისათვის" წევრი. სტივ ოსტენი აქტიურად მონაწილეობდა არა მხოლოდ ნიდერლანდების სამეფოს, არამედ ევროპის კულტურულ ცხოვრებაში. 1966 წლიდან იყო ინიცატორი და ერთ-ერთი ორგანიზატორი პროგრამის "ამსტერდამი - ევროპის კულტურული დედაქალაქი 1987", ასევე დირექტორი და პედაგოგი ამსტერდამ-მაასტრიხტის საზაფხულო უნივერსიტეტის. მან, გიუნტერ გრასთან ერთად, არაფორმალური ორგანიზაცია "გულივერი" დაარსა.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში მოეწყო თანამედროვე ცეკვის განვითარების ასი წლისთავისადმი მიძღვნილი სასწავლო-ინტერაქტიული კურსი (მას ბერლინის ხელოვნების აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი - ნელე ჰერტლინგი უძღვებოდა), ასევე, მრგვალი მაგიდები, რომელთაგან მეორეს სტივ ოსტენიც შეუერთდა. მან ურბანული კულტურის პოლიტიკაზე ისაუბრა და ქართველ სტუდენტებს, უპირველესად, ინგლისური ენის შესწავლა მოუწოდა.

30 მარტიდან 3 აპრილის ჩათვლი, ის ინტერაქტიულ-თრენინგ პროგრამას უძღვებოდა, რამაც თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის არაერთი სტუდენტი, ძირითადად, მომავალი მენეჯერები დაინტერესა. პროგრამის მთავარი თემა იყო ანტერპრენიორის ფუნქცია და დანიშნულება, მეწარმეობა კულტურასა და ხელოვნებაში, განიხილეს მაგალითები თანამედროვე კორპორატიული ცხოვრებიდან, ასევე ის, თუ როგორ წამოვიწყოთ ახალი ინიციატივები კულტურაში და ა.შ. სტუდენტებმა შეადგინეს პროექტები და სასარგებლო რჩევები მიიღეს.

სტ სტივ ოსტენი: - კულტურის მენეჯმენტსა და მეწარმოებას ამ სფეროში მხოლოდ პრაქტიკული კი არა, ფილოსოფიური ხასიათიც აქვს, რაც გასათვალისწინებელია. ამასთან, სტუდენტებმა უნდა გაიაზრონ, რომ მათ საქმიანობა მუდმივად ცვალებად გარემოში მოუწევთ... ქართველებთან შეხვედრის პირველივე დღეს გამოიკვეთა გარკვეული ჯგუფი სტუდენტებისა, რომლებმაც ჩემს ლექციებზე დარჩენის სურვილი გამოთქვეს და მე მთელი კვირა მათ გარემოცვაში გავატარე.

- როგორ დაუკავშირდით საქართველოს და ლევან ხეთაგურს?

- საქართველოსთან ჩემი ურთიერთობა, დაახლოებით, თორმეტი წლის წინათ დაიწყო. ეს ბ-ნი ლევანის შუამდგომლობით მოხდა. მან მონაწილეობა მიიღო ინტენსიურ კურსში, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციის დაფუძნებასა და მისთვის საერთაშორისო ხარისხის მინიჭებას ეხებოდა. ეს კურში ჰოლანდიაში, მაასტრიხტის უნივერსიტეტში იკითხებოდა. ბ-ნი ლევანი ბულგარეთში გავიცანი, სადაც კულტურის სფეროში მოღვაწე ახალგაზრდებს შევხვდი. მათ სურდათ, რომ საკუთარი ინიციატივები სამშობლოში განეხორციელებინათ... სწორედ ამ შეხვედრის შემდეგ მივიწვიეთ ლევან ხეთაგური მაასტრიხტის საზაფხულო უნივერსიტეტში. მან არასამთავრობო საერთაშორისო კულტურის ფონდი "კავკასია" ჰოლანდიური იურისდიქციის მიხედვით ჩამოაყალიბა. ამ ფონდის საშუალებით ჰოლანდიელ პროფესორებს (პედაგოგიური თუ კვლევითი საქმიანობის განვითარების მიზნით) საქართველოში ჩამოსვლის შესაძლებლობა მიეცათ. აღსანიშნავია, რომ ბ-ნი ლევანის მიერ დაარსებული "კავკასია" ფელიქს მერიტის ფონდის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პარტნიორი და თანაპროდიუსერია.

- თქვენ არაერთ ქვეყანასთან თანამშრომლობთ... რას იტყვით საქართველოზე?

- მე სასომხეთსა და აზერბაიჯანში არასოდეს ვყოფილვარ, აქედან გამომდინარე მხოლოდ ვიწრო ასპექტით შემიძლია ვისაუბრო. მინდა გითხრათ, რომ ჩემი თანამშრომლობა ქართველ პროფესორებთან და სტუდენტებთან მაღალი ხარისხის, სანდო და ამბიციურია... ამ თვალსაზრისით, საწუწუნო ნადვილად არაფერი მაქვს, ვერაფერზე დავიჩივლებ... საქართველოში მეტად თბილად და კარგად შემხვდნენ, რაც ჩემთვის განსაკუთრებულია.

- რას ურჩევთ იმ ადამიანებს, რომლებიც ამ სფეროში საქმიანობას ახლა იწყებენ?

- მათ, უპირველესად, ინგლისური უნდა შეისწავლონ, წინააღმდეგ შემთხვევაში იზოლირებულ სამყაროში დარჩებიან და მცდარი წარმოდგენა ექნებათ იმ დროზე, რომელიც საერთაშორისო კონტაქტების დამყარებას სჭირდება. უცხოელ კოლეგებთან ურთიერთობების განმტკიცებას წლები მიაქვს. ამ დროის განმავლობაში მათ უნდა გამოიყენონ ყველანაირი შესაძლებლობა იმისათვის, რომ პროექტებში ჩაერთონ და საერთაშორისო ქსელში გაერთიანდნენ. უნივერსიტეტის ფარგლებში ვერასოდეს ისწავლით როგორ უნდა გახდეთ საერთაშორისო კულტურის მენეჯერი... უნივერსიტეტმა, შესაძლოა, მხოლოდ რამდენიმე ორიენტირი გიკარნახოთ, შემდეგ ყველაფერი დამოუკიდებელ, მძიმე პრაქტიკულ სამუშაოზეა დამოკიდებული.

- თქვენ ამ უნივერსიტეტის ლექტორი გახდით... როგორ აპირებთ მასთან ურთიერთობის გაგრძელებას?

- მე და ნელე ჰერტლინგმა გადავწყვიტეთ მოვიძიოთ ან შევქმნათ ქსელი უნივერსიტეტებისა, რომელიც მაასტრიხტის საზაფხულო უნივერსიტეტთან იქნება დაკავშირებული. ჩვენ გვინდა შევიმუშაოთ ერთობლივი, საერთაშორისო ტიპის სასწავლო პროგრამა მაგისტრანტებისთვის. და მიუხედავად იმისა, რომ ამას წლები დასჭირდება, ამის განხორციელების ამბიცია გვაქვს.

- რას გვეტყვით გაერთიანებაზე "ევროპის სულისთვის" და ფორუმზე, რომელიც თბილისში უნდა მოეწყოს?

- ამჟამად ეს გაერთიანება სამოქალაქო ინიციატივაა, მაგრამ ის სახელმწიფო მოხელეთა კერძო ინიციატივის საფუძველზე ჩამოყალიბდა. ეს მოძრაობა აქტუალურია, თითქმის, მთელ ევროპაში. მისი წევრები არიან სხვადასხვა ქვეყნის ახალგაზრდა მოქალაქეები. ევროპამ თუ კულტურული პროცესი არ განსაზღვრა, მომავალი არ ექნება. იგი ვერც წარმატებული გახდება, თუ საზოგადოების მომავალს თავად მოქალაქეები არ გადაწყვეტენ. ამ გაერთიანების ფარგლებში ეწყობა მრგვალ მაგიდები, რომლის ირგვლივ იკრიბებიან: ევროპის კულტურის პარლამენტის წევრები, ევროკომისიის მოხელეები, ადგილობრივი პოლიტიკოსები და ახალგაზრდა კერძო პირები. ჩვენი სურვილია, მსგავსი დიალოგი თბილისშიც შედგეს. ის, სავარაუდოდ, ოქტომბერში მოეწყობა. ასეთი შეხვედრები, უპირველესად, საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას შეუწყობს ხელს და ევროკავშირის ქვეყნებთან თანამშრომლობის პროცესსაც გააუმჯობესებს.

პრეზიდენტმა მუხრან მაჭავარიანს დაბადების დღე მიულოცა

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ცნობილ პოეტს მუხრან მაჭავარიანს დაბადების დღე მიულოცა. მას გუშინ 80 წელი შეუსრულდა. პრეზიდენტი მუხრან მაჭავარიანს ტელეფონით ესაუბრა.

მუხრან მაჭავარიანი შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატია. იგი სხვადასხვა დროს იყო ჟურნალ პიონერის", ჟურნალ დილას", ალმანახ საუნჯეს" მთავარი რედაქტორი, მწერალთა კავშირის თავმჯდომარე. არის არაერთი პოეტური კრებულის ავტორი. ქართულ ენაზე ნათარგმნი აქვს რამდენიმე უცხოელი პოეტის ლექსები.

მედიანიუსი

ელდარ შენგელაია წმინდა გიორგის ორდენით დააჯილდოვეს

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა კინორეჟისორი ელდარ შენგელაია ქვეყნის წინაშე დამსახურებისათვის უმაღლესი სამოქალაქო ჯილდოთი - წმინდა გიორგის ორდენით დააჯილდოვა. ღონისძიება პრეზიდენტის ადმინისტრაციაში გაიმართა, რომელსაც მთავრობისა და საპარლამენტო უმრავლესობის წევრები დაესწრნენ.

მიხეილ სააკაშვილმა უპირველესად, 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია შეაფასა და აღნიშნა, რომ ამ ტრაგედიას ბევრი გმირი ჰყავს, რომელთა გმირობა ნაკლებად იყო თვალში საცემი. ასეთ გმირებს შორის სააკაშვილმა სწორედ ელდარ შენგელაია დაასახელა, რომელმაც 1989 აპრილის შემდეგ ღირსეული მოქალაქეობრივი პოზიცია დაიკავა და თბილისში მომხდარი ტრაგედია მთელ მსოფლიოს გააცნო.

მიხეილ სააკაშვილის შეფასებით, ელდარ შენგელაია იმაზე გაცილებით დიდი პიროვნებაა, ვიდრე მის შესახებ მოარული ლეგენდებით არის ცნობილი. მისი ფილმები სიკეთისა და მომავლის რწმენით არის გამსჭვალული და საზოგადოება ამ ფილმების ციტატებით ხშირად მეტყველებს.

პრეზიდენტის თქმითვე, ელდარ შენგელაის უამრავი ჯილდო აქვს მინიჭებული, თუმცა ამ ჯილდოებზე ბევრად მაღლა მისი ჭეშმარიტი გმირობა, გამბედაობა და უსამართლობასთან ბრძოლაში შეუპოვრობა დგას.

პატივი მქონდა, რომ პარლამენტში ელდარ შენგელაიასთან ერთად მემუშავა. ის დიდი პოლიტიკური აქტივისტი არასოდეს ყოფილა. თუმცა, ამ მუშაობისას მისგან გამბედაობა, გამჭრიახობა, კრიტიკული შეფასების უნარი, ადამიანობა ვისწავლეთ და უკეთეს ადამიანებად ვიქეცით", - აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა და ელდარ შენგელაიას დამსახურებად ისიც მიიჩნია, საქართველოში ხუთჯვრიანი სახელმწიფო დროშა რომ ფრიალებს.

ელდარ შენგელიას განცხადებით, წმინდა გიორგის ორდენის მინიჭება მისთვის დიდი პატივია. თუმცა ეს ჯილდო მასთან ერთად იმ ადამიანებსაც ეკუთვნით, რომლებიც 9 აპრილის შემდგომ პერიოდში მის მხარდამხარ აქტიურობდნენ და რომელთა დამსახურებითაც 9 აპრილის ტრაგედიის შესახებ მთელმა მსოფლიომ შეიტყო.

მედიანიუსი

ახალგაზრდა დიქტატორის არქივი

საიმონ სებაგ მონტეფიორეს ახალგაზრდა სტალინი ქართულად გამოიცა

ია ვეკუა



წიგნი, რომლის შესახებაც დღეს მოგითხრობთ, უფრო დოკუმენტური პროზის მოყვარულებს დააინტერესებს, განსაკუთრებით კი მათ, ვისაც დიდი დიქტატორების ცხოვრების დეტალები, მათი მმართველობის ნიუანსები და იდუმალებით მოცული ამბები აინტერესებს. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ ამჯერად ცნობილი ბრიტანელი ჟურნალისტის, რუსეთისა და საბჭოთა კავშირის ისტორიკოსის, საიმონ სებაგ მონტეფიორეს ახალგაზრდა სტალინი გამოსცა, რომელიც სტალინის ადრეული წლების შესახებ მოგვითხრობს.

მკითხველისთვის უთუოდ საინტერესო იქნება, იმის გაგება თუ რამ აქცია ერთი შეხედვით ჩვეულებრივი სემინარიელი ბიჭი ჯერ მეამბოხედ და შემდეგ სასტიკ მმართველად, რომელიც მოგვიანებით უზარმაზარი იმპერიის წითელი მეფე" გახდა. განსაკუთრებით საინტერესო კი ცხადია წიგნის ის ნაწილი იქნება, სადაც მონტეფიორე იოსებ ჯუღაშვილის ცხოვრების სკანდალურ და აქამდე უცნობ ფაქტებს აღწერს- დაბადებიდან რევოლუციონერობამდე.

ცხადია წიგნის ავტორი მუშაობისას საარქივო მასალებსა და წლების განმავლობაში დაგროვილ დოკუმენტებს ეყრდნობოდა. იგი დიდი ხნის განმავლობაში შეისწავლიდა კომუნისტური პარტიის მარქსიზმისა და ლენინიზმის ინსტიტუტის, მოსკოვის ცენტრალურ სახელმწიფო, საქართველოს, აზერბაიჯანისა და რუსეთის სახელმწიფო, სტალინის გორის მუზეუმის, ბათუმისა და სტენფორდის უნივერსიტეტში დაცული ნიკოლაევსკისა და ოხრანკის" პარიზის ოფისის არქივებს. ამრიგად ადვილი წარმოსადგენია, რამდენად მნიშვნელოვანი კვლევა ჩაატარა მან, რათა ამ არქივებში დაცული ინფორმაცია ერთ წიგნად შეეკრა და მკითხველამდე მოეტანა.

წიგნში გამოყენებული საარქივო მასალის დიდი ნაწილი 1930-1950 წლებში, კომუნისტური პარტიის ისტორიკოსთა მიერ სტალინის დიქტატორობის პერიოდშია შექმნილი, სწორედ მაშინ, როდესაც მისი პიროვნების კულტისა და ტერორის იდეოლოგია უმაღლეს მწვერვალს აღწევდა. 1930 წლის ანუ ლავრენტი ბერიას დროინდელი მასალები, სავარაუდოდ, საქართველოს კომუნისტური პარტიის წევრების (აპარატჩიკების") მიერაა შეგროვებული. ცხადია, ეს ჩანაწერები სტალინის დადებითად წარმოჩენისთვის მასიური წნეხის ქვეშ კეთდებოდა.

ავტორი იმასაც აღნიშნავს, რომ მასალებზე მუშაობისას ერთი და იმავე ფაქტის შესახებ სხვადასხვა ვერსიას აწყდებოდა, რაც გამოწვეული იყო იმდროინდელი პოლიტიკური ვითარებით. მაგალითად, 1937 წლის რეპრესიებამდე სტალინის შესახებ გაკეთებული ჩანაწერები მეტისმეტად თამამი, გულწრფელი და ზოგჯერ კრიტიკულიცაა. ასეთი ხასიათის მქონე ჩანაწერების შემცველი ოფიციალური მემუარები, ბუნებრივია, არსად ქვეყნდებოდა ან მხოლოდ ნაწილობრივ ქვეყნდებოდა, თუმცა ისინი არ ნადგურდებოდა, არამედ არქივებში ინახებოდა. მოგონებებში შედიოდა შესწორებები, კეთდებოდა მათი ასლები და იგზავნებოდა მოსკოვში, სტალინის არქივში. სწორედ ასე გაჩნდა სტალინის ბიოგრაფიის არაერთი განსხვავებული ვერსია.

საზოგადოებისთვის ნაკლებადაა ცნობილი სტალინის ბავშვობისდროინდელი ამბები, მისი დევნილობაში ყოფნა, რევოლუციური შეტაკებები, ბანკის ძარცვა და სხვა. ამრიგად წიგნის ეს ნაწილი მკითხველისთვის განსაკუთრებით საინტერესო იქნება. მასში ასევე ამოიკითხავთ სტალინის დედის, კეკეს მოგონებებს, რომლებიც, საიმონ სებაგ მონტეფიორეს ინფორმაციით, არ გაგზავნილა მოსკოვში და არც გამოცემულა. სავარაუდოდ, თავად სტალინს წარმოდგენაც არ ჰქონდა მათ არსებობაზე.

წიგნის შინაარსის სრულყოფისთვის მონტეფიორემ ცხადია საქართველოშიც იმოგზაურა და პირად საოჯახო არქივებში დაცული გამოუქვეყნებელი მემუარები შეაგროვა. მათ შორისაა მინადორა ტოროშელიძის მემუარები, რომლებსაც ავტორი ჩუმად წერდა. მონტეფიორემ საქართველოში ყოფნისას მოახერხა სტალინთან დაკავშირებული ჯერ კიდევ ცოცხალ მოწმეებთან გასაუბრებაც. თბილისში ყოფნისას ჩაწერა 109 წლის მარიამ სვანიძე - სტალინის პირველი ცოლის ნათესავი. ასევე ესაუბრა სტალინის სხვა ნაცნობებსაც: ქეთევან გელოვანს, სტალინის შვილთაშვილს, გალინა (გულია) ჯუღაშვილს, ორჯონიკიძისა და ლიტვინოვის ქალიშვილებს. ღირებული ინფორმაცია მოიპოვა გენერალ საშა ეგნატაშვილის შვილიშვილისგან, გურამ რატიშვილისგან და სხვა.

ავტორი წიგნში საუბრობს 1920-იანი წლებში შექმნილ მემუარებზეც, რომლებიც გამოუქვეყნებლად დარჩა და რომელთა გაკონტროლებაც სტალინს არ შეეძლო. მაგალითად, კოტე ცინცაძე თავშეკავებულად, მაგრამ მაინც ღიად საუბრობს, როგორ გასცემდა სტალინი ბრძანებებს ადამიანთა მკვლელობასა და ბანკების ძარცვაზე. აღსანიშნავია, რომ 1929 წლის შემდეგ, რაც მან აბსოლუტური ძალაუფლება მოიპოვა, ბერიას დახმარებით მოახერხა ცინცაძის მოგონებების მაკულატურად ქცევა.

ასევე საინტერესოა პესტკოვსკის მოგონებები, რომელიც 1917 წელს სტალინის თანაშემწე იყო. მოგონებების პირველი, 1922 წელს გამოქვეყნებული ვერსია უფრო თამამია, 1930 წლის მეორე გამოცემა კი გაწმენდილი". იგივე შეიძლება ითქვას ენუქიძის, მახარაძის, შოტმანის და სხვათა მოგონებების შესახებ. როგორც არქივებიდან ირკვევა, სტალინი თავად გასცემდა ამა თუ იმ მოგონების გამოქვეყნების ნებას. მაგალითად, როცა სტალინის ძველმა ბაქოელმა ნაცნობმა სამოილოვამ 1905 წლის მემუარებისგან წიგნი შეადგინა, ბელადმა სულ სამი სიტყვა მისწერა: არ გამოაქვეყნო! სტალინი .

ახალგაზრდა სტალინს" ერთვის 70-მდე საინტერესო და საზოგადოებისთვის უცნობი ფოტომასალა, რომლებიც მკითხველს სტალინის მოღვაწეობისა და ცხოვრების თანამგზავრების შესახებ სრულ წარმოდგენას შეუქმნის.

ეროვნული

13 აპრილი

კინო

"რუსთაველი"
გასეირნება ყარაბახში 2:კონფლიქტის ზონა
დასაწყისი: 12.00; 14.00; 16.00; 18.00; 20.00; 22.00
"მადაგასკარი 2"
დასაწყისი: 12.15; 14.00; 15.45; 17.30
"დასპეროს თავგადასავალი"
დასაწყისი: 13.00; 15.00; 16.45; 19.30; 21.30
მილიონერი გარეუბნიდან
დასაწყისი: 13.15; 15.30; 17.45; 20.00; 22.15
სხეულის გარეშე
დასაწყისი: 18.15; 20:15; 22:15

"ამირანი"
გასეირნება ყარაბახში 2: კონფლიქტის ზონა
დასაწყისი: 12.30; 14.30; 16.30; 18.30; 20.30; 22.15
ნიკი და ნორა
დასაწყისი: 12.00; 16.00; 20.00
"სხვა სამყარო"
დასაწყისი: 14.00; 18.00; 22.15

გამოფენები

არტ გალერეა "ლაინი"
ქართველი მხატვრების მუდმივმოქმედი ექსპოზიცია - (ფერწერა, ქანდაკება)

მეიდან არტ ჰოლი
ქართველი მხატვრების მუდმივმოქმედი ექსპოზიცია - (ფერწერა, ქანდაკება)

თბილისის ისტორიის მუზეუმი "ქარვასლა"
იტალიის საელჩოს მიერ ორგანიზებული გამოფენა "იტალიური სტილი".

"მანანა არტ სალონი"
თანამედროვე ქართული სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნამუშევართა გამოფენა

გალერეა "კამეა"
ქართველი მხატვრების ჯგუფური გამოფენა - (ფერწერა, გრაფიკა, ფაიფური, მინანქარი, ხის ნაკეთობები...)

მინანქრის გალერეა "ორნამენტი"
მუდმივმოქმედი ტიხრული მინანქრის გამოფენა-გაყიდვა

2009 წლის 10 მარტს, სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგეობის სატენდერო კომისიის მიერ გამოცხადებულ ტენდერში, სიღნაღის მუნიციპალიტეტის ქალაქებსა და სოფლებში წყალმომარაგების სისიტემების სარეაბილიტაციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე, გამოვლინდა გამარჯვებულები:

ლოტი 1. - შპს ნოვა".
ლოტი 2. - შპს ნოვა"
ლოტი 3. - შპს ბაკა +"
ლოტი 4. - შპს ნიუ ენერჯი"
ლოტი 5. - შპს ნოვა"
ლოტი 6. - შპს ბაკა +"

2009 წლის 10 მარტს, სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგეობის სატენდერო კომისიის მიერ გამოცხადებულ ტენდერში, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების სარეაბილიტაციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე, გამოვლინდა გამარჯვებულები:

ლოტი 1. - შპს მრეწველი"
ლოტი 2. - შპს მრეწველი"

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერია (მის 4600, ქ.ქუთაისი, რუსთაველის გამზ.№3) აცხადებს) ტენდერს, **ქ. ქუთაისში გარე განათების ქსელის კაპიტალური სამუშაოების** შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტია: ქუთაისში გარე განათების ქსელის კაპიტალური სამუშაოები (629 ახალი სანათი წერტილი)

1) რუსთაველის გამზირი
2) ზვიად გამსახურდიას ქუჩა
3) ირაკლი აბაშიძის გამზირი კიკვიძის ძეგლიდან ბუხაიძის ქუჩამდე
4) ლესელიძის ქუჩა
5) გოგებაშვილის ქუჩა
6) კოსტავას ქუჩა
7) წერეთლის ქუჩა ბალახვნის მოედნიდან ჭავჭავაძის გამზირამდე და დავით აღმაშენებლის გამზირი ასსაფეხურიანი კიბეებიდან ხიდამდე (კიბეების ჩათვლით)
8) თბილისის ქუჩა
9) თამარ მეფის ქუჩა
10) სადგური I-ის მოედანი
11) მანდარიას ქუჩა
12) თავისუფლების ქუჩა ჭავჭავაძის გამზირიდან საიათნოვას ქუჩამდე და საიათნოვას ქუჩა აღმაშენებლის გამზირამდე
13) ბარათაშვილის ქუჩა
14) ვარლამიშვილის ქუჩის ნაწილი მოედნით ჯაჭვის ხიდამდე და ბროსეს ქუჩა
15) სოლომონ პირველის ქუჩა

სატენდერო დოკუმენტაციათა პაკეტში მითითებული იქნება ტექნიკური პარამეტრები და განსახორციელებელი სამუშაოების მოცულობა (დეფექტური ქმანები).

2. დაფინანსების წყარო: **ქ.ქუთაისის 2009 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი**

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა მოიცავს ხელშეკრულების გაფორმებიდან 90 დღეს. **მიწოდების ადგილია ქალაქი ქუთაისი.**

4. დაინტერესებულმა პირებმა განცხადება ტენდერში მონაწილეობის შესახებ, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად (დედანი და ასლი), დალუქული პაკეტით უნდა წარმოადგინონ 2009 წლის **4 მაისს** საათიდან 11-დან 16 საათამდე შემდეგ მისამართზე: 4600, ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზირი №1, ქ. ქუთაისის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახური (მე-4სართული), სატენდერო კომისიის აპარატი, ოთახი №8. განცხადებას თან უნდა ახლდეს წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნუსხა, ხელმოწერილი განმცხადებლის მიერ.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

5.1. იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობას სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის გადახდისუნარიანობის საქმის წარმოება;

ბ) ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ მიმდინარეობს შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

გ) ცნობა შესყიდვებში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე საჯარისამართლებრივი შეზღუდვის (ყადაღის) არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიული ორგანოს მიერ);

დ) ცნობას, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ხელმძღვანელი მუშაკები უკანასკნელი 5(ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის. (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს პოლიციისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან);

5.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა (შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან);

ბ) ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5(ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს პოლიციისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან);

გ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით);

დ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ე) ინდ/მეწარმის რეგისტრაციის სერტიფიკატი.

5.3. როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) ცნობა სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ.

გ) ცნობა სრულად გასტუმრებული ვადიანი გადასახადების შესახებ სახელმწიფოს წინაშე (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საგადასახადო ინსპექციიდან)

დ) ინფორმაცია ანალოგიერ მიწოდებაზე გამოცდილების შესახებ, აღნიშნული პირის ანალოგიერი შესყიდვის პროცედურების უკანასკნელი 3 წლის გამოცდილება შემდეგი მონაცემების წარმოდგენით:

№	ანალოგიური მიწოდების ჩამონათვალი კონკრეტული ობიექტების მითითებით	შემსყიდველის დასახელება, რეკვიზიტები	ხელშეკრულების ღირებულება	მიწოდების წელი

ე) ტენდერში მონაწილე პირის სპეციალისტთა კვალიფიკაცია და გამოცდილება

№	თანამდებობა, სპეციალობა	გვარი, სახელი	მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი)	მხოლოდ ანალოგიურ მიწოდებაზე გამოცდილება (წელი)

ზ) აუდიტის დასკვნა ტენდერში მონაწილე პირის ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

თ) წერილობითი დასტური სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან, მასზედ რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირი არ არის შესული შესყიდვაში მონაწილე არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტებისა და მიმწოდებლების რეესტრში.

ი) ინფორმაცია ქვე-კონტრაქტორების აყვანის შემთხვევაში, ქვეკონტრაქტორების მიერ გასაწევი მომსახურეობის შესახებ

შენიშვნა:

ა) ინფორმაცია წარმოდგენილ იქნას შემდეგი ცხრილის სახით

	გასაწევი მომსახურების სახე	ქვე-კონტრაქტორის დასახელება, რეკვიზიტები	ქვე-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური მომსახურეობის გაწევის გამოცდილება	შესრულების წელი და ღირებულება
1.				
	და ა.შ			

ბ) ქვე-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური მომსახურეობის გაწევის გამოცდილების გრაფაში მითითებულ უნდა იქნას იმ ძირითადი ობიექტების ჩამონათვალი, რომელზეც ქვე-კონტრაქტორს გაწეული აქვს ანალოგიური მომსახურეობა.

გ) ამ განცხადების მე-5 მუხლის მოთხოვნები ეხება ქვე-კონტრაქტორებსაც

6. საკვალიფიკაციო ცნობები და მონაცემები შესაბამისი უწყებებიდან მიღებული უნდა იქნას მხოლოდ სატენდერო განცხადების გამოქვეყნებიდან მისი მიღების დასრულების ვადის და პერიოდის გათვალისწინებით.

7. სატენდერო მოსაკრებლის **200(ორასი) ლარის** გადახდის შემდეგ **(სატენდერო მოსაკრებლის ანგარიშია: მიმღების დასახელება-ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, ქუთაისი, ანგარიშის №200122900, მიმღების ბანკი-სახელმწიფო ხაზინა, მიმღების კოდი-220101222, საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდი-300183174. გადახდის დანიშნულება-სატენდერო მოსაკრებელი),** მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ, სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2009 წლის 13 აპრილიდან, შემდეგ მისამართზე: ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზ. №1, ქ. ქუთაისის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახური (მე-4 სართული), სატენდერო კომისიის აპარატი, ოთახი №8.

8. შესყიდვაში დაინტერესებულ პირს უფლება აქვს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე, გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას.

9. დაგვიანებით წარმოდგენილი საკვალიფიკაციო დოკუმენტაცია და სატენდერო წინადადებები გაიარდება რეგისტრაციაში, მაგრამ არ განიხილება და გაუხსნელად დაუბრუნდებათ უკან პრეტენდენტებს.

10. სატენდერო წინადადება ხელმოწერილი უნდა იქნას ტენდერში მონაწილის მიერ, ხელმოუწერელი წინადადებები არ განიხილება.

11. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ მხოლოდ ერთი წინადადება. ალტერნატიული წინადადების წარმოდგენა დაუშვებელია.

12. განცხადების 5.1, 5.2 და 5.3 პუნქტების მოთხოვნები შემდგომ დარღვევას არ ექვემდებარება.

13. არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნების დიპლომატიური ორგანოებიდან, ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის სახით.

14. ტენდერი ტარდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების საფუძველზე.

15. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ სატენდერო კომისიის აპარატში, საკონტაქტო პირი ნიდარ მიქაშვილი, მისამართზე: ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზ. №1 მე-4 სართ. ოთახი №8; ტელ 4-03-06; ქ. ქუთაისის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახური.

სატენდერო კომისია

Tender on Survey on the Subject of the UN, its Programmes and Services in Georgia

UNDP office is pleased to announce Tender on Conducting a Survey on the Subject of the UN, its Programmes and Services in Georgia. You are kindly requested to submit your proposals no later than 18:00, 24 April 2009.

For further information and details please refer to: www.ungeorgia.ge/eng/tenders.php and/or www.undp.org.ge

---

განცხადება
ტენდერის შედეგის შესახებ

ს.ს.ი.პ. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი

მისამართი: ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N52 საფოსტო ინდექსი 0102

ს.ს.ი.პ. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ მასალების ბეჭდვის მიზნით ა/წლის 7 თებერვალს გაზეთ "24 საათში" გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა შ.პ.ს. "ფორმა", რომელთანაც 17.04.09 გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება.

სპორტი

საჩემპიონო თამაში

მიხეილ აბაიშვილი

ლობჟანიძის კარგმა თამაშმა ზესტაფონს ვერ უშველა.

გასულ უქმეებზე გამართულ ფეხბურთში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის 26-ე ტურის თამაშებს, ერთი შეხედვით, მთავარ შეკითხვაზე უნდა გაეცა მიახლოებითი პასუხი მაინც. ეს ტური იმით გამოირჩა, რომ სატურნირო ცხრილის ზედა ოთხეულში მყოფი გუნდები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ და იყო იმის ალბათობა, რომ ამ მატჩების დასრულების შემდეგ გარკვეულწილად კვანძი გახსნილიყო, ყოველ შემთხვევაში რაღაც სიცხადე მაინც შესულიყო არსებულ ვითარებაში. რეალურად კი არაფერი შეცვლილა. საჩემპიონო რბოლაში ჩაბმულმა გუნდებმა მართლაც საჩემპიონო თამაშის დემონსტრირება მოახდინეს, რის გამოც, როგორც ჩანს, ოქროს მედლების ბედი ტურნირის დასრულებამდე ორი ტურით ადრე, ფავორიტების - "დინამოს" და "ვიტ ჯორჯიას" უშუალო დაპირისპირებაში გაირკვევა.

ყველაზე დიდ ინტერესს, ალბათ მაინც ზესტაფონში გამართული დაპირისპირება იწვევდა, სადაც საქართველოს თასის მოქმედმა მფლობელმა, ადგილობრივმა "ზესტაფონმა" მოქმედ ჩემპიონს, "დინამოს" უმასპინძლა. ამ შეხვედრამდე დედაქალაქურ კლუბს "ზესტაფონში" ერთი მატჩიც კი არ ჰქონდა მოგებული. ეს "დაუმარცხებლობის მითი" კაჭარავას გუნდმა ამჯერად ნაცარტუტად აქცია. "დინამომ" "ზესტაფონის" დაცვისგან ქვა ქვაზე არ დატოვა და ისეთი დამარცხება აგემა საკმაოდ თავმოყვარე და არც თუ უსაფუძვლო ამბიციების მქონე "ზესტაფონს", რომ ამ ფიასკოს შემდეგ გეგუჩაძის ბიჭებს სერიოზული ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის კურსი დასჭირდებათ გონს მოსასვლელად.

თამაშის პირველი ტაიმი საკმაოდ თანაბარ ბრძოლაში წარიმართა და ფრედაც დასრულდებოდა, რომ არა პირველი ნახევრის მიწურულს მასპინძელთა მცველების მიერ დაშვებული უხეში შეცდომა: 38-ე წუთზე დონალდ ჯუისმა კარგად ისარგებლა ზესტაფონელთა საჯარიმო მოედანში შექმნილი არეულობით და ზუსტი დარტყმით ანგარიში გახსნა.

შეხვედრის მეორე ნახევარში გეგუჩაძის გუნდმა აქცენტი შეტევებზე გადაიტანა, რის გამოც ზურგი გარკვეულწილად "მოაშიშვლა". სწორედ ეს მომენტი გამოდგა მთავარი ფატალური შეცდომა, რასაც მასპინძელთა კარში გოლების წვიმა მოყვა. 57-ე წუთზე ალექსანდრე კოშკაძემ ანგარიშში სხვაობა ორამდე გაზარდა, რასაც ჩერნოგორიელი ნახევარმცველის, ტომიჩის კიდევ ორი გოლი მოყვა. აღსანიშნავია, რომ "დინამოს" საგოლე შეტევების ასი პროცენტი მოედნის ცენტრალური ნაწილიდან წარიმართა და დაბოლოვდა, რაც ზესტაფონელთა დაცვის ცენტრის განსაკუთრებულ უსუსურობას უსმევს ხაზს. საბოლოოდ, "დინამომ" შთამბეჭდავი და მეტად დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა ანგარიშით 4:0.

არც ლიდერმა შეირცხვინა თავი, რომელსაც არანაკლები სირთულის გასვლითი შეხვედრა ჰქონდა საქართველოს ექსჩემპიონ "ოლიმპთან". თუმცა, აქ ერთი მომენტია გამოსაცალკევებელი. რუსთავის "ოლიმპი" საჩემპიონო რბოლაში ვერ მონაწილეობს, რადგან დაწინაურებულ დედაქალაქურ ტანდემს ქულათა საკმაო რაოდენობით ჩამორჩება. საპირისპიროდ, რუსთაველები დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასის - ყაზბეგის გათამაშების ნახევარფინალში არიან გასულები და გასაგებიცაა, რომ აქცენტი ამ ტურნირზე აქვთ გადატანილი.

ანგარიში უკვე მეთერთმეტე წუთზე, ვიტ ჯორჯიას" კაპიტნის, რაზმაძის მიერ რეალიზებული თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმის შემდეგ გაიხსნა. ხუთიოდ წუთში "ოლიმპის" საუკეთესო თავდამსხმელმა, გია მეგრელაძემ საპასუხო გოლის გატანა შეძლო, მაგრამ ეს ამ მატჩში მასპინძელთა ბოლო წარმატება გამოდგა. დარჩენილ დროში სტუმრები მყარად დაეუფლნენ ინიციატივას და კიდევ ორი გოლის გატანა მოახერხეს. 55-ე წუთზე ნესტორ მუმლაძის გუნდი ბეჭვაიამ დააწინაურა, რასაც 75-ე წუთზე მელქაძის ზუსტი დარტყმაც მოჰყვა და "ვიტ ჯორჯიამ" დამაჯერებლად, ანგარიშით 3:1 იმარჯვა.

დარჩენილი სამი შეხვედრიდან გამოსაყოფია აუტსაიდერების დაპირისპირება, რომელშიც "სპარტაკმა" 2:0 სძლია "ბორჯომს" და პრაქტიკულად გაუფორმა კიდეც პირველი ლიგის საგზური. თავად ცხინვალურმა კლუბმა ამ გამარჯვებით უძლიერესთა კამპანიაში ადგილის შენარჩუნებისკენ დიდი ნაბიჯი გადადგა.

26-ე ტური

ზესტაფონი - დინამო	0:4
ოლიმპი - ვიტ ჯორჯია	1:3
ლოკომოტივი - მგლები	1:1
გაგრა - სიონი	1:1
სპარტაკი - ბორჯომი	2:0

ვიტ ჯორჯია	25	16	8	1	44:14	56
დინამო	25	17	4	4	54:18	55
ზესტაფონი	23	12	4	7	27:18	40
ოლიმპი	23	10	9	4	26:16	39
სიონი	24	10	9	5	28:20	39
ლოკომოტივი	23	8	6	9	25:23	30
მგლები	25	8	6	11	29:31	30
მესხეთი	24	5	8	11	15:31	23
გაგრა	25	5	6	14	19:40	21
სპარტაკი	24	4	6	14	23:39	18
ბორჯომი	25	2	6	17	18:58	12

ქორებმა მეოთხე დაიბევეს

NBA-ს რეგულარულ სეზონში "ატლანტა ჰოუქსმა მორიგი მატჩი გამართა საკუთარ ფილიპს არენაზე და ინდიანა პეისერზის დამარცხების წყალობით აღმოსავლეთ კონფერენციაში მეოთხე ადგილი დაიბევა, რაც ფლეი-ოფის პირველ რაუნდში საკუთარი მოედნის უპირატესობას იძლევა.

მატჩი საკმაოდ დაძაბული გამოდგა და ქორებს მეტოქის ძლევა საკმაოდ გაუჭირდათ, საბოლოოდ ჯორჯიელებმა ოთხი ქულა მოიგეს (122:118).

ზაზა ფაჩულიას წვლილი ამ გამარჯვებაში დიდი ნამდვილად არ ყოფილა, მაიკ ვუდსონმა ქართველ ცენტრს სათამაშოდ მხოლოდ 6 წუთი მისცა და დროის ამ მცირე მონაკვეთში ზაზამ ორი ქულისა და ერთი მოხსნის დაგროვება შეძლო.

უნდა ითქვას, რომ ამ თამაშში ბრიწყინვალედ გამოიყურებოდა ატლანტელთა ძირითადი ცენტრი ალ ჰარფორდი, რომელმაც 41 წუთში 22 ქულა შესძინა თავის გუნდს და 15-ჯერ მოხსნა ფარიდან ბურთი. ალბათ, სწორედ ჰარფორდის ბრწყინვალე თამაშია იმის მიზეზი, რომ ქორების მწვრთნელს ფაჩულიასთვის სათამაშო დრო საერთოდ არ მიუცია.

ბარემ იმასაც გეტყვით, რომ რეგულარულ სეზონში ფაქტობრივად, ყველაფერი დასრულებულია. ცნობილია ფლეი-ოფის ყველა მონაწილე. აღმოსავლეთში შემდეგი რვა გუნდი აგრძელებს ბრძოლას ჩემპიონობისთვის: ბოსტონი , ორლანდო , ატლანტა , მიაიამი , ფილადელფია , ჩიკაგო და დეტროიტი . დასავლეთ კონფერენციაში კი ფლეი-ოფში თამაშის უფლება შემდეგმა გუნდებმა მოიპოვეს: ლეიკერსი , დენვერი , ჰიუსტონი , პორტლენდი , სან ანტონიო , ნიუ ორლეანი და დალასი .

აქვე გეტყვით, რომ წარმატებულად აგრძელებს ასპარეზობას ესტონეთის საკალათბურთო ჩემპიონატში გიორგი ცინცაძისა და ვიქტორ სანიკიძის ტარტუ როკი , რომელმაც ვალაგას ანგარიშით 76:66 სძლია.

ქართველ კალათბურთელთაგან როკელთა სასტარტო ხუთეულში ცინცაძემ ითამაშა, გიორგიმ მოედანზე 25 წუთი დაჰყო და თავის გუნდს 6 ქულა, 2 მოსხნა, 6 შედეგიანი გადაცემა და 3 ჩაჭრა შეაწია.

მართალია სასტარტოში არ ყოფილა სანიკიძე, თუმცა სათამაშო დრო მასაც საკმაოდ ჰქონდა, 26 წუთში სანიკიძემ 11 ქულა, 3 მოხსნა ერთი ჩაჭრა და ერთი დაფარება მიითვალა.

როკი ჩემპიონატს ერთპიროვნულად ლიდერობს, ქართველთა გუნდს 25 მატჩიდან 23 აქვს მოგებული და მეორე ადგილზე მყოფ კალევს ხუთი მოგებით უსწრებს.

ახალგაზრდა "ბორჯღალოსნებმა" ელიტაში ადგილი შეინარჩუნეს

დასრულდა ევროპის პირველობა 18 წლამდე მორაგბეთა შორის. მოგეხსენებათ საქართველოს ნაკრებმა ტურნირი სუსტად დაიწყო და უკანასკნელ შეხვედრაში ჩვენ ბიჭებს აუცილებლად სჭირდებოდათ იტალიის ნაკრების დამარცხება, რათა A დივიზიონში თამაშის უფლება შეენარჩუნებინათ.

იმთავითვე უნდა ითქვას, რომ იტალია ტურნირის მთავარ აუტსაიდერად თავიდანვე იყო შერაცხული და ჩვენ ბიჭებს სკუადრა აძურას ძლევა არ გასჭირვებიათ. ქართველებმა მატჩი ანგარიშით 17:8 მოიგეს და ევროპის ჩემპიონატზე, რომელშიც 8 გუნდი მონაწილეობდა მეშვიდე ადგილი დაიკავეს.

რაც შეეხება ევროპის ჩემპიონატის გამარჯვებულს, კონტინენტის ჩემპიონის ტიტული საფრანგეთის ნაკრებმა მოიპოვა, რომელმაც ფინალში ინგლისის ნაკრებს სძლია ანგარიშით 20:19.

"ჰამბურგში" იოლის დატოვებას გეგმავენ

გერმანული მედიის ინფორმაციით ჰამბურგის მესვეურები გუნდის 53 წლის ჰოლანდიელ მწვრთნელ მარტინ იოლთან კონტრაქტის გაგრძელებას აპირებენ. მომქმედი კონტრაქტის თანახმად იოლი ჰამბურგში 2010 წლის ივნისამდე უნდა დარჩეს.

ამჟამად ჰამბურგი საკმაოდ მაღალ დონეზე თამაშობს და ამას სწორედ მარტინ იოლის მაღალ კვალიფიკაციას უკავშირებენ. კლუბის მესვეურებს სურთ ჰოლანდიელთან სეზონის ბოლოს დაილაპარაკონ ახალ კონტრაქტზე და არსებული შეთანხმება სულ მცირე კიდევ ორი სეზონით მაინც გააგრძელონ.

ვენგერი და "არსენალი" - კვლავ ერთად

ბრიტანულ გამოცემა The Times-ის ინფორმაციით ლონდონის არსენალის ხელმძღვანელები გუნდის ფრანგ გურუ არსენ ვენგერს მიმდინარე სეზონის დასრულებისთანავე ახალი კონტრაქტის გაფორმებას შესთავაზებენ.

როგორც იცით ვენგერის გადაბირება მიუნხენის ბაიერნს სურს და სწორედ ეს იქცა იმის მიზეზად, რომ ლონდონური კლუბის მესვეურები ვენგერთან სასწრაფოდ აპირებენ კონტრაქტის გაგრძელებას, რომლის მოქმედების ვადა 2010 წლისთვის ამოიწურება.

მსოფლიო უკონომიკური კრიზისი და ფეხბურთი

საინტერესოა, რომ მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა წამყვან საფეხბურთო კლუბებზე და მათ ფინანსურ შესაძლებლობებზე დიდი გავლენა არ იქონია. ჟურნალ ფორბსის ცნობით, დღესდღეობით მსოფლიოს მოწინავე 25 კლუბის საერთო შემოსავალი 597 მილიონ დოლარს უტოლდება, რაც შარშანდელ მაჩვენებელზე 8%-ით მეტია.

ჟურნალის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, ინგლისური მანჩესტერ იუნაიტედი ზედიზედ მესამე წელია მსოფლიოს ყველაზე წარმატებული კლუბის ტიტულს ინარჩუნებს.

ბრიტანული გრანდის ღირებულება 1.87 მილიარდი დოლარია, ჩემპიონთა ლიგის მოქმედი გამარჯვებულის შემოსავალი კი 160 მილიონს უტოლდება.

მეორე ადგილი მადრიდის რეალს (1.353 მილიარდი) უკავია, ხუთეულში კი ლონდონის არსენალი (1.2 მილიარდი), მიუნხენის ბაიერნი (1.11 მილიარდი) და ლივერპული (1.01 მილიარდი) მოხვდნენ.

მსოფლიო ფეხბურთის ტოპ-25-ეულში მილანი , ბარსელონა , იუვენტუსი , ჩელსი , შალკე , ტოტენჰემი , ლიონი , რომა , ინტერი , ჰამბურგი , დორტმუნდი , მანჩესტერ სიტი , ვერდერი , ნიუკასლი , შტუტგარტი , ასტონ ვილა , მარსელი , სელტიკი , ევერტონი და გლაზგო რეინჯერსი იმყოფებიან.

ბელამი კვლავ დაშავდა

მანჩესტერ სიტისა და უელსის ნაკრების ფორვარდი კრეიგ ბელამი კლბის ლაზარეთს დაუბრუნდა. ბელამის ჰამბურგთან გამართულ მატჩში ძველი ტრავმა გაუმიზეზდა და კლუბის ექიმთა ვარაუდით ფეხბურთელი ორი სამი კვირის განმავლობაში ვერტ შეძლებს თამაშს.

ლიპის "იუვენტუსში" იწვევენ

ტურინის იუვენტუსის ხელმძღვანელებმა იტალიის ნაკრების მთავარ მწვრთნელ მარჩელო ლიპის ბებერი ქალბატონის ტექნიკური დირექტორის პოსტის დაკავება შესთავაზა. შეგახსენებთ, რომ ლიპი იუვენტუსში საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მუშაობდა და ამ სპეციალისტთან ერთად ტურინულ კლუბს არაერთი ტიტული აქვს მოგებული.

"რეალში" ჰოლანდიელებს დაერევიან

ფლორენტინო პერესი მადრიდის რეალის პრეზიდენტის პოსტის დაკავების მთავარი კანდიდატია. პერესმა არაერთხელ განაცხადა, რომ პრეზიდენტობის შემთხვევაში გუნდში ვარსკვლავებს მიიყვანს, ამავდროულად გალაქტიკური კლუბის იდეის ავტორი იმ ფეხბურთელთა სიას აქვეყნებს, რომლებიც სამეფო კლუბს მისი პრეზიდენტობის შემთხვევაში დატოვებენ. ესპანური გამოცემა Marca-ს ინფორმაციით, პერესი საგრძნობლად შეამცირებს გუნდში ჰოლანდიელთა რაოდენობას, რომელთა რიცხვი ამჟამად რეალში ხუთს ითვლის. კერძოდ, რეალის დატოვება მოუწევთ როისტონ დრენტეს, უესლი სნაიდერს, რაფაელ ვან დერ ვარტს და რუდ ვან ნისტელროის. ამგვარად, რეალში ერთადერთი ჰოლანდიელი, გასულ ზამთარს აიაქსიდან შეძენილი კლას იან ჰუნტელაარი დარჩება.

იტალიურ-გერმანული როქი

იტალიური პრესა ამ ბოლო ხანს აქტიურად განიხილავს შესაძლო გარიგებას, რომელიც ზაფხულისთვის არის დაგეგმილი. საუბარია, გაცვლაზე, რომელიც ტურინის იუვენტუსსა და მიუნხენის ბაიერნს შორის უნდა შედგეს. კერძოდ, ტურინელები მზად არიან მიუნხენურ კლუბში ჯანლუიჯი ბუფონი გაუშვან, თუ ბაიერნი სანაცვლოდ იუვენტუსში ფრანკ რიბერის გამოუშვებს. სავარაუდოდ, თუ ეს გარიგება შედგა იუვენტუსს ფულის დამატებაც დასჭირდება.

"მანჩესტერი" ბრაზილიელ ვუნდერკინდს ყიდულობს

მანჩესტერ იუნაიტედის ხელმძღვანელებმა ოფიციალურად დაადასტურეს ინფორმაცია, რომ ბრაზილიურ კლუბ გრემიოს 18 წლის ნახევარმცველ დუგლას კოშტას შეძენას აპირებენ.

დაახლოებით ერთი თვის წინათ, დუგლას კოშტას შეძენას "ვილიარეალის" შეფები ეცადნენ, რომლებიც პორტო ალეგროელი ვუნდერკინდის სანაცვლოდ 8 მილიონ დოლარს იხდიდნენ, მაგრამ "გრემიომ" ესპანური კლუბი ცივი უარით გაისტუმრა. ხსენებული კლუბების გარდა, კოშტას მიმართ ინტერესს "ინტერის", "რეალისა" და "ლივერპულის" მესვეურები იჩენენ, თვითონ ფეხბურთელს კი, რომელსაც სამშობლოში "ახალი რონალდინიო" შეარქვეს, ჯერ არ გადაუწყვეტია, სად გააგრძელოს კარიერა, თუმცა ყველაზე მეტად ინგლისის პრემიერლიგა ესიმპათიურება.

ადრიანომ არ იცის

როგორც იცით მილანის ინტერის ბრაზილიელმა ფორვარდმა ადრიანომ ფეხბურთიდან დასვენება გადაწყვიტა. უფრო სწორად ადრიანომ განაცხადა, რომ საკუთარ ჯანმრთელობას უნდა მიხედოს. ჭირვეულმა ვარსკვლავმა აღიარა, რომ ალკოჰოლიზმის პრობლემები აქვს და თუ დროზე არ მიხედა ამას საერთოდ დაიღუპება. ადრიანომ უკვე გააკეთა ოფიციალური განცხადება ფეხბურთიდან დროებით წასვლის შესახებ, თუმცა ბრაზილიელს არ დაუზუსტებია რამდენ ხანს გასტანს ეს იძულებითი შვებულება. შესაბამისად როდის დაუბრუნდება ადრიანო ფეხბურთს უცნობია.

"ვილიარეალი" სენას გარეშე რჩება

ვილიარეალის კაპიტანმა მარკუს სენამ განაცხადა, რომ სავარაუდოდ მოუწევს არსენალთან გასამართი მატჩის გამოტოვება. მყვინთავების კაპიტანმა ტრავმა ესპანეთის ჩემპიონტის მორიგ ტურში მიიღო, რომელშიც ვილიარეალმა მალაგას უმასპინძლა და ანგარიშით 0:2 დამარცხდა.

"ჩელსის" ჰიდინკი სჭირდება

ჩელსის კაპიტანმა ჯონ ტერიმ განაცხადა, რომ გუნდს აუცილებლად სჭირდება გუუს ჰიდინკის შენარჩუნება და უაზრობაა ჟოზე მოურინიოს დაბრუნებაზე საუბარი. ჰიდინკს კარგი ურთიერთობა აქვს აბრამოვიჩთან და ყველა მშვენივრად ხედავს, რომ ჰოლანდიელი სპეციალისტის მოსვლით გუნდში ვითარება გამოსწორდა. ამიტომ მიმაჩნია, რომ ჰიდინკის შენარჩუნება აუცილებელია. რაც შეეხება მოურინიოს, ჟოზე ბრწყინვალე მწვრთნელია და ჩელსიში" მუშაობის პერიოდში ყველაფერი კარგად ჰქონდა, მაგრამ ახლა მის დაბრუნებაზე საუბარი უაზრობად მიმაჩნია , - აცხადებს ტერი.

სამი ძმა ევერესტზე 24 საათით

მანასლუს ზვავი დაატყდა

გიგა გურასაშვილი



ევერესტის კენწეროზე სამი ძმა 24 საათს დაჰყოფს

ექსპედიციათა ერთ ნაწილს რა ხანია, პაკისტანში, ნეპალსა და ჩინეთში ცად აზიდულ მწვერვალთა ფერხთით კარვები გაუშლია, ანაც გზაში არიან. სეზონია ისეთი, ჰიმალაებში ექსტრემალები რომ ჭარბობენ. დედამიწის სახურავისკენ - ევერესტისკენ გეზი აუღია სამ ძმას 31 წლის პემბა დორჟის, 23 წლის ნიმა გალზენისა და 20 წლის ფურბა თენზინგს. ძმების შემთხვევაში უჩვეულო ისაა, რომ მათ ჯომოლუნგმას დაპყრობა და შემდგომ უკვე მის კენწეროზე 24 საათის გატარება განუზრახავთ.

ნეპალელი სამი ძმა კვირას ნეპალისვე დედაქალაქ კატმანდუს აეროპორტში გუდანაბადით გამოცხადდა და ევერესტის მისადგომებისკენ გაფრინდა. ძმების მიზანი მაისში დედამიწის უმაღლესი მწვერვალის ევერესტის (8848 მ.) დაპყრობაა. დედამიწის სახურავზე ფეხის შედგმა თავისთავად საარაკო რამაა, მაგრამ მის კენწეროზე 24 საათით, დარჩენა წარმოუდგენლად ჟღერს. შთაბეჭდილების შესაქმნელად გეტყვით, რომ ნებისმიერი თავზეხელაღებული ევერესტზე და საერთოდ, რვაათასიანი მწვერვალის კენწეროზე 15-20 წუთზე მეტ ხანს არ ჩერდება, აი, მათ კი სიკვდილის ზონაში (ექსტრემალური პირობების გამო სწორედ ასე უწოდებენ) დღე-ღამის გატარება სურთ.

ამბობენ, და არცაა გასაკვირი, თამამ მთამსვლელებს ევერესტის თავზე საშინლად ცივი ამინდი, ჰაერის დაბალი წნევა და მეტად მწირი ჟანგბადის დონე, ძლიერი ქარი და შტორმი დახვდებათო.

რთული იქნება, მაგრამ საკუთარ ძალებში დარწმუნებულები ვართ, რადგან გამოცდილი მთამსვლელები ვართ და ამასთან თითოეულს არაერთხელ დაგვიპყრია ევერესტი , - ჯომოლუნგმას ბანაკისკენ გაფრენამდე აცხადებდა ერთ-ერთი ძმათაგანი.

ამასობაში ირკვევა, რომ დედამიწის კენწეროსკენ გზის გაკაფვა 58 ექსპედიციის 600-მდე წევრს განუზრახავს. ყოველ შემთხვევაში, ნეპალის მხრიდან ევერესტზე ასვლის ნებართვა (პერმიტი) სწორედ ამდენმა ადამიანმა მიიღო (ცნობისთვის, შარშან დედამიწის უმაღლეს მწვერვალს 33 ექსპედიცია უტევდა).

ნეპალის ტურიზმის სამინისტროს პასუხისმგებელი პირი კი აღნიშნავს, რომ ევერესტზე ასვლის მსურველთა რაოდენობა ყოველდღიურად მატულობს.

მათ შორის კი ვისაც ადრენალინი ამოძრავებს არიან ამერიკელები, იაპონელები (ტრადიციულად ის ქვეყნები, რომლებიც ევერესტს ყოველწლიურად სტუმრობენ), კოლუმბიელები, სიგაპურელები, პერუელები, ფინელები, ხორვატები, ყაზახები, ესპანელები, კანადელები, მექსიკელები, ბრიტანელები, ახალზელანდიელები, გერმანელები, ავსტრიელები

დასანანი კი ისაა, რომ მათ შორის არაა ქართველი. ამ მხრივ ერთგვარ კომპენსაციას გვთავაზობს ბიძინა გუჯაბიძე - ქართველი მოსიმაღლე მთამსვლელი (ორჯერ ევერესტის ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან 1999 და 2003 წლებში, ასევე ლჰოცეს - 8516 მ., დჰაულაგირის - 8167 მ., ჩო ოიუს - 8201 მ. და გაშერბრუმ II-ის - 8035 მ. დამპყრობი). ეგაა, ამგვარ კომპენსაციას დედამიწის რიგით მეექვსე 8-ათასიან მწვერვალ მანასლუსთან (8163 მ.) მივყავართ.

წარმატების შემთხვევაში ბიძინასთვის მანასლუ რიგით მეექვსე 8-ათასიანი მწვერვალი იქნება.

მანასლუს საბაზო ბანაკისკენ ექსპედიცია 2 აპრილს დაიძრა. ცნობისთვის მწვერვალი მანასლუ პირველად 1956 წელს იაპონელმა ტოშიო იმანიშიმ და ნეპალელმა გიალზენ ნორბუ შერპამ დაიპყრეს, დღეს კი

მანასლუს საბაზო ბანაკს ზვავი დაატყდა თავს. საბედნიეროდ არავინ დაშავებულა.

ფრანგები და ესპანელები რომელთა კარვები, თოვლმა ჩაიტანა, დროებით იტალიელებთან გადასახლებულან.

რაფა ნადალი - მისტერ ტოლერანტობა

საჩოგბურთო სეზონი არც ისე დიდი ხანია დაიწყო, თუმცა უკვე ცხადია, რომ წლეულს ყურადღების ცენტრში ესპანელი რაფაელ ნადალი იქნება, რომელსაც ამ სეზონში დიდი სლემის მოგების რეალური შანსი აქვს.

22 ნლის ჩოგბურთის უფლისწული მშვენიერ ფორმაშია და ახლა იგი მონტე კარლოში თამაშობს ტურნირზე რათა უკეთ მოემზადოს საფრანგეთის ღია პირველობისთვის. ტურნირის დაწყებამდე კი ესპანელი ფრანგულ გამოცემა LExpres-ს ჟურნალისტს არასაჩოგუბრთო თემებზე ესაუბრა.

- სად გიყვართ დღესასწაულების გატარება?

- მალიორკა - ჩემი კუნძულია. ჩემი წინაპრები ამ კუნძულზე მეთოთხმეტე საუკუნეში დასახლდნენ, დღემდე იქ ვცხოვრობ ოჯახთან ერთად იმ სახლში, რომელშიც დავიბადე. ბებია და ბაბუა პირველ სართულზე ცხოვრობენ, ბიძაჩემი მეორეზე, მესამეზე ჩემი მშობლები, ბოლო სართულს კი მე და ჩემი და ვიყოფთ.

- თქვენი თამაშის ყველაზე სუსტი წერტილი?

- ალბათ, მაინც ჩემი ძალა. ზოგჯერ ვერ ვახერხებ დარტყმის სიძლიერის გაკონტროლებას.

- როგორი მუსიკა მოგწონთ?

- ესპანური პოპ მუსიკა. ისეთი ჯგუფები როგორიცაა ლა ორეხა დე ვან გოგ , მომღერლები ალეხანდრო სანსი და ხულიო იგლესიასი. ყოველი მატჩის წინ ვცდილობ რეალობას მოვწყდე ჩემი აიპოდის საშუალებით. ეს გარკვეულწილად რიტუალადაც იქცა.

- საყვარელი წიგნი?

- ისაბელ ალიენდეს ურჩხულების ქალაქი . ამ ავტორის დიდსულოვნებით აღფრთოვანებული ვარ. მას შემდეგ რაც დასრულდა პინოჩეტის რეჟიმი იგი დაბრუნდა სამშობლოში და საკუთარი ხალხის კეთილდღეობისთვის იბრძვის.

- აღწერეთ პეიზაჟი, რომელიც ოცნების განწყობაზე მოგიყვანდათ.

- ოთხი წლის ვიყავი, როდესაც მამამ მეთევზეთა ნავში ჩამსვა და ზღვაში გამიყვანა. არაფერია იმაზე უკეთესი, როდესაც მინას უყურებ ზღვიდან. როდესაც ჩოგბურთს თავს დავანებებ ერთ ნავს ვიყიდი და იქ ვიცხოვრებ.

- თქვენი დევიზი?

- მაჰათმა განდის აქვს ნათქვამი: არ მიყვარს სიტყვა ტოლერანტობა, მაგრამ უკეთესი სიტყვა ჯერ არ მოუგონიათ .

- საყვარელი ნახატი?

- მალიორკელი მხატვრის რიკარა ჩანის თაყვანისმცემელი ვარ. საკმაოდ უცნაური ნახატები კი აქვს, მაგრამ მე ძალიან მომწონს.

- როგორ შეცვალა თქვენი ცხოვრება პოპულარობამ?

- არა მგონია, რომ ჩემი ცხოვრება შეცვლილიყოს. წარმატება არ შემცვლის. იგივე ოთახში ვცხოვრობ, რომელშიც ადრე. იგივე მეგობრები მყავს, ჩემი მეგობარი გოგონა ჩემი დის ახლობელია, გლამურული დღესასწაულების ტრფიალი არასდროს ვყოფილვარ და არც ვიქნები.

- ტანსაცმელი, რომელსაც ყველაზე კარგად ხმარობთ?

- მოდის მიმდევარი ნამდვილად არ ვარ, თუმცა როგორც ყველა ესპანელს მეც მიყვარს შოპინგები და ტანსაცმელს, რომლის ჩაცმასაც ვაპირებ საგულდაგულოდ ვირჩევ. მიყვარს ჯინსები, ვიცმევ სპეციალურად ჩემთვის შეკერილ ქურთუკს. მოკლედ, რაც მომწონს ის მაცვია.

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერია (მის 4600, ქ.ქუთაისი, რუსთაველის გამზ.№3) აცხადებს) ტენდერს, **ქ. ქუთაისში გზის საფარის კაპიტალური და მიმდინარე სამუშაოების** შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტია:

ლოტი I: ქუჩებისა და მოედნების კაპიტალური შეკეთება:

– წმინდა სამების ქუჩა , სავალი ნაწილი 3448 კვ.მ, ტროტუარი 782 კვ.მ, სიგრძე 465 მ.

– მწვანე ყვავილას ქუჩა, სიგრძე 2750 მ, ფართი – 17770 კვ.მ

– მამია ასათიანის ქუჩა, სიგრძე 120 მ, ფართი – 720 კვ.მ

– ჩეხოვის ქუჩის I შესახვევი, სიგრძე 180 მ, ფართი – 1160 კვ.მ

ლოტი II: გზების მიმდინარე შეკეთება.

სატენდერო დოკუმენტაციათა პაკეტში მითითებული იქნება ტექნიკური პარამეტრები და განსახორციელებელი სამუშაოების მოცულობა (დეფექტური ქმანები).

2. დაფინანსების წყარო: **ქ.ქუთაისის 2009 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი**

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა მოიცავს ხელშეკრულების გაფორმებიდან 90 დღეს. **მიწოდების ადგილია ქალაქი ქუთაისი.**

4. დაინტერესებულმა პირებმა განცხადება ტენდერში მონაწილეობის შესახებ, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად (დედანი და ასლი), დალუქული პაკეტით უნდა წარმოადგინონ 2009 წლის **4 მაისს** საათიდან 11-დან 16 საათამდე შემდეგ მისამართზე: 4600, ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზირი №1, ქ. ქუთაისის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახური (მე-4სართული), სატენდერო კომისიის აპარატი, ოთახი №8. განცხადებას თან უნდა ახლდეს წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნუსხა, ხელმოწერილი განმცხადებლის მიერ.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

5.1. იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობას სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის გადახდისუნარიანობის საქმის წარმოება;

ბ) ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ მიმდინარეობს შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

გ) ცნობა შესყიდვებში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის (ყადაღის) არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიული ორგანოს მიერ);

დ) ცნობას, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ხელმძღვანელი მუშაკები უკანასკნელი 5(ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებული და მოქმედ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის. (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს პოლიციისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან);

5.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას, რომ მას მოლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედთუნარიანობა (შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან);

ბ) ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5(ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოქმედ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს პოლიციისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან);

გ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს აკოტრების საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით);

დ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ე) ინდ/მეწარმის რეგისტრაციის საბუთი.

5.3. როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) ცნობა სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ.

გ) ცნობა სრულად გასტუმრებული ვადიანი გადასახადების შესახებ სახელმწიფოს წინაშე (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საგადასახადო ინსპექციიდან)

დ) ინფორმაცია ანალოგიურ მიწოდებაზე გამოცდილების შესახებ, აღნიშნული პირის ანალოგიური შესყიდვის პროცედურების უკანასკნელი 3 წლის გამოცდილება შემდეგი მონაცემების წარმოდგენით:

№	ანალოგიური მიწოდების ნამონათვალი კონკრეტული ობიექტების მითითებით	შემსყიდველის დასახელება, რეკვიზიტები	ხელშეკრულების ღირებულება	მიწოდების წელი

ე) ტენდერში მონაწილე პირის სპეციალისტთა კვალიფიკაცია და გამოცდილება

№	თანამდებობა, სპეციალობა	გვარი, სახელი	მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი)	მხოლოდ ანალოგიურ მიწოდებაზე გამოცდილება (წელი)

ზ) აუდიტის დასკვნა ტენდერში მონაწილე პირის ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

თ) წერილობითი დასტური სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან, მასზედ რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირი არ არის შესული შესყიდვაში მონაწილე არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტებისა და მიმწოდებლების რეესტრში.

ი) ინფორმაცია ქვე-კონტრაქტორების აუცილებელი შემთხვევაში, ქვეკონტრაქტორების მიერ გასაწევი მომსახურეობის შესახებ

შენიშვნა:

ა) ინფორმაცია წარმოდგენილ იქნას შემდეგი ცხრილის სახით

	გასაწევი მომსახურების სახე	ქვე-კონტრაქტორის დასახელება, რეკვიზიტები	ქვე-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური მომსახურეობის გაწევის გამოცდილება	შესრულების წელი და ღირებულება
1.				
	და ა.შ			

ბ) ქვე-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური მომსახურეობის გაწევის გამოცდილების გრაფაში მითითებულ უნდა იქნას იმ ძირითადი ობიექტების ჩამონათვალი, რომელზეც ქვე-კონტრაქტორს გაწეული აქვს ანალოგიური მომსახურეობა.

გ) ამ განცხადების მე-5 მუხლის მოთხოვნები ეხება ქვე-კონტრაქტორებსაც

6. საკვალიფიკაციო ცნობები და მონაცემები შესაბამისი უწყებებიდან მიღებული უნდა იქნას მხოლოდ სატენდერო განცხადების გამოქვეყნებიდან მისი მიღების დასრულების ვადის და პერიოდის გათვალისწინებით.

6'. აღნიშნულ შესყიდვაში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მექანიზმი (სატენდერო წინადადების ფასის 1%-ის ოდენობით) და ხელშეკრულების უზრუნველყოფის მექანიზმი (ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ის ოდენობით), შესაბამისი საბანკო გარანტიების /ან სადაზღვევო გარანტიების წარმოდგენით

7. სატენდერო მოსაკრებლის **200(ორასი) ლარის** გადახდის შემდეგ **(სატენდერო მოსაკრებლის ანგარიშია: მიმღების დასახელება-ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, ქუთაისი, ანგარიშის №200122900, მიმღების ბანკი-სახელმწიფო ხაზინა, მიმღების კოდი-220101222, საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდი-300183174. გადახდის დანიშნულება-სატენდერო მოსაკრებელი),** მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ, სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2009 წლის 13 აპრილიდან, შემდეგ მისამართზე: ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზ. №1, ქ. ქუთაისის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახური (მე-4 სართული), სატენდერო კომისიის აპარატი, ოთახი №8.

8. შესყიდვაში დაინტერესებულ პირს უფლება აქვს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე, გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას.

9. დაგვიანებით წარმოდგენილი საკვალიფიკაციო დოკუმენტაცია და სატენდერო წინადადებები გატარდება რეგისტრაციაში, მაგრამ არ განიხილება და გაუხსნელად დაუბრუნდებათ უკან პრეტენდენტებს.

10. სატენდერო წინადადება ხელმოწერილი უნდა იქნას ტენდერში მონაწილის მიერ, ხელმოუწერელი წინადადებები არ განიხილება.

11. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ მხოლოდ ერთი წინადადება. ალტერნატიული წინადადების წარმოდგენა დაუშვებელია.

12. განცხადების 5.1, 5.2 და 5.3 პუნქტების მოთხოვნები შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

13. არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნების დიპლომატიური ორგანოებიდან, ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის სახით.

14. ტენდერი ტარდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების საფუძველზე.

15. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ სატენდერო კომისიის აპარატში, საკონტაქტო პირი ნიდარ მიქიაშვილი, მისამართზე: ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზ. №1 მე-4 სართ. ოთახი №8; ტელ 4-03-06; ქ. ქუთაისის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახური.

სატენდერო კომისია

ქ. თბილისის მთავრობის 100%-ანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგიერთი საწარმოს ლიკვიდაციის შესახებ

„მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის 9[1] და მე-14 მუხლების, „ადგილობრივი თვითმმართველობის 'მესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის, „საქართველოს დედაქალაქის - თბილისის 'შესახებ" საქართველოს კანონის 28-ე მუხლის შესაბამისად,

ქ. თბილისის მთავრობა აღგენს:

1. განხორციელდეს დანართი 1-ში მითითებული, ქ. თბილისის მთავრობის 100%-ანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული კომპანიების ლიკვიდაცია.

2. დანართში მითითებული კომპანიების ლიკვიდატორად დაინიშნოს დავით მეფარიშვილი (დაბ. 02.04.1973 წელს პირ. №01034004756).

3. დაევალოს კომპანიების ლიკვიდატორს: უზრუნველყოს საზოგადოებების ლიკვიდაციასთან დაკავშირებული. კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების განხორციელება უმოკლეს ვადაში.

4. კონტროლი დადგენილების შესრულებაზე დაევალოს ქ. თბილისის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერს) - მერიის ადმინისტრაციის უფროსს მ. ახვლედიანს.

5. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ერთ თვეში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).

ქ. თბილისის მერი გიორგი უგულავა

დანართი 1

"	*დასახელება*	*საწესდებო კapიტალიდან ამოსაღები ქონების მისამართი*
1	შპს „სპეცავტობაზა"	ვაჟა-ფშაველას VII კვ, IV კორპ,
2	შპს ავტოსერვისი „ლისი-1"	ლისის ტბის მიმდ.ტერიტ, (ნუცუბიძის ფერდ, 4 მ/რ)
3	შპს ნაძალადევის რაიონის გამგეობის „სამეურნეო სამმართველო"	ცადაიანის ქ,№30
4	შპს „რეპროგრაფიული ცენტრი-97"	ი.ფალავას ქ, №24
5	შპს „ეკოლოგი"	ქ.წამებულის №96
6	შპს „უძრავი ქონება- დიდუბე"	დ,აღმაშენებლის გამზ, №140- III სართ,

ფორმულა 1-ის არ იყოს, საკუთარ საქმეს შეუდგნენ მოტომრბოლელები. მსოფლიო ჩემპიონატის პირველ ეტაპზე (ყატარი) და საერთოდ, პირველობის გამარჯვებულად იტალიელი ვალენტინო როსი მოიაზრება. ლოსაილის (დოჰას, ყატარის დედაქალაქი) წრიულზე გამარჯვებას უწინასწარმეტყველებენ მსოფლიოს რვაგზის ჩემპიონს (ექვსჯერ Moto GP-ის კლასში) იტალიელ ვალენტინო როსის. იტალიელის ერთადერთ კონკურენტად ეტაპზეც და ჩემპინატზეც მოიაზრება 2007 წლის მსოფლიო ჩემპიონი ავსტრალიელი კეისი სტოუნერი.

24 საათი

The New York Times
Articles selected for 24 საათი

Weekend
1 მარტიდან

საცალო ვაჭრობაში "24 საათის" სამშაბათის ნომერი ნიუ იორკ თაიმსთან ერთად ეღირება 1 ლარი. ასევე 1 ლარი ეღირება შაბათის გამოცემა WEEKEND. ხელმომწერებს ეს ცვლილებები არ შეეხებათ, მათთვის 24 საათის ყველა ნომრის ფასი 50 თეთრი იქნება.

მარტიდან შესაძლებელი იქნება 24 საათისგან დამოუკიდებლად მხოლოდ სამშაბათისა და შაბათის ნომრების ცალ-ცალკე გამოწერაც.

ასეთ შემთხვევაში ხელმოწერის ფასები შესაბამისად იქნება:

1 წლით ———————— 52 ლარი;
6 თვით ———————— 26 ლარი;
3 თვით ———————— 13 ლარი;
1 თვით ———————— 4 ლარი.

დაწვრილებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ: 8 (55) 53 56 55 ალეკო ლომიძე;

განაცხადი წინადადების მიღების თაობაზე:
არასამთავრობო სექტორისა და
ადგილობრივი ხელისუფლების
მონაწილეობა განვითარების პროექტებში

EuropeAid/128423/L/ACT/GE

ევროკომისიის წარმომადგენლობა საქართველოში აცხადებს კონკურსს პროექტებზე, რომლებიც მიზნად ისახავენ არასამთავრობო სექტორისა და ადგილობრივი ხელისუფლების მონაწილეობას სიღარიბის დაძლევისა და მდგრადი განვითარების სტრატეგიის შემუშავებაში, რისი საბოლოო შედეგიც თავად საზოგადოების გაძლიერებაა. ეს პროგრამა ორიენტირებულია შემსრულებელზე და მიზნად ისახავს არასამთავრობო სექტორისა და ადგილობრივი ხელისუფლების კერძო ინიციატივების მხარდაჭერას. თანხები გამოყოფილია 2008 წლის თემატური ბიუჯეტის ხაზიდან.

დეტალური ინფორმაცია კონკურსის შესახებ შეგიძლიათ მოიძიოთ შემდეგ ინტერნეტ მისამართებზე:

http://ec.europa.eu/europeaid/work/procedures/index_en.htm და
http://www.delgeo.ec.europa.eu

განაცხადების შემოტანის ბოლო ვადაა 1 ივნისი, 2009, 16:00 ადგილობრივი დროით. მისამართი : ნინო ჩხეიძის ქ. 38. 0102 თბილისი, საქართველო

თვითმცლელი:
BMC PRO 935 FTE 8X4

მიწოდების ვადა
1 დღე

BMC

ტექნიკის ტიპი: ბეტონშემრევი
მწარმოებელი:BMC
მოდელი: BMC PRO 935 FTE
მოცულობა: 10 მ.3
ძრავი: Cummins C 350-20 (Euro2) Turbo Intercooler
სიმძლავრე: 350 ცხ.ძ.
გადაცემათა კოლოფი: ZF 16 S
ბეტონშემრევი დანადგარი: LIEBHERR
გარანტია: 1 წელი
მიწოდების ვადა: 1 დღე

ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ.
TEGETA TRUCK & BUS LTD
24-47-44, 24-47-44 (1219)